ხუთშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 26 № 249
წელიწადი მეოთხე
ხუთშაბათი. 1918 წ. ქრისტეშობისთვის 26 №249
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

სომხის ახალგაზდობის ერთმა ნაწილმა თხოვნით მიმართა რუსთა ეროვნულ საბჭოს, რათა იგინი რუსეთის ქვეშევრდომებად ჩარიცხონ და მით სამხედრო ტყვეობას აცდინონ.

სომხეთის ყოფილი დიპლ. წარმომადგენელი საქართველოში ჯამალიანი ბათომს წავიდა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აუწყა რუსთა ეროვნულ საბჭოს, რომ მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია რუსებს არ ეხება.

საგანგებო რაზმმა შეიპყრო 50-მდე სომეხი, რომელთაც მოხალისეთა რაზმების შედგენა ჰქონდათ საქართველოს წინააღმდეგ.

გერმანიის სოც. რესპ. ცენტრ. საბჭომ გერმანიის სახელმწიფოსი და პრუსიის საქმეთა მმართველობა ჩაიბარა.

დამოუკიდებელთა პარტიამ დაადგინა, მემარჯვენე სოციალისტებთან არ იმუშაოს.

საფრანგეთი ითხოვს, რათა რეინის მარჯვენა ოლქებიდან ელზას-ლოთრენს ნედლი მასალა მიაწოდონ.

ბულგარეთში რევოლიუცია დაიწყო სოფიაში შეტაკებებია. მეფე ბორისი ტახტიდან გადადგომით იმუქრება.

პსკოვში ბოლშევიკების წინააღმდეგობისათვის 406 გერმანელი დახვრიტეს.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დიმიტრი და ქეთევან, მეუღლე მარიამ (ვარა) პატარა ობლებით, ძმები სვიმონ და ილია, რძლები: თამარა და მარიამ თაქთაქიშვილები და დაი მარიამ გვერწითლისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 ქრისტეშობისთვეს გარდაიცვალა

**ალექსანდრე (საშა) თაქთაქიშვილი**

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე, ვარდის უბნის ქ. № 5. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 1—1977—1

## სახელმწიფო თეატრი

**წარმოდგენა № 7.**

27 ქრისტეშობისთვეს
„კავშირის" დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა ა. ცაგარლისა

**ქართველი დედა**

წმინდა შემოსავალი გადაიდება ომის საჭიროებისათვის

რეჟისორი შალვა დადიანი. ◆◆◆ თანაშემწე ალ. გუგუშვილი.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ◆◆ მორიგი წარმომ. ალ. გაჩეჩილაძე.
მსახიობთა კავშირის დირექცია.
2—1
მზადდება: „ტარიელ გოლუა" და „ანტიგონე".

## სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

დღეს, 26 ქრისტეშობისთვეს, საბანეევას, მოროზოვის, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**ლაკმე და ბალეტი**
(საათების ცეკვა)
ოპერა „ჯიოკონდადან"

შაბათს, 28 ქრისტეშობისთვეს ი. ა. სამოსუდის ბენეფისი „ჰოფმანის ზღაპრები" მონაწილეობას მიიღებენ საბანეევა, შულგინა, შვამბერგი, ზალიპსკი და ნიკოლსკი.

29 ქრისტეშობისთვეს, დილით „ევგენი ონეგინი", საღამოთი ალეშკოს, იანსას, პოლიაევას მონაწილეობით „ზაზა".

31 ქრისტეშობისთვეს საბანეევას, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით „ტრავიატა".

## საქართველოს მეომართა დღე

**თბილისის მოქალაქენო!** დაეხმარეთ იმათ, ვინც თავისი სისხლით უზრუნველ ჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მშვიდობიან არსებობას! დაამზადეთ ყოველგვარი შემოწირულება. ყველაფერს ულრმესი მადლობით მივიღებთ. ქალაქის ყოველ უბანში შეაგროვებენ ავტომობილებით შემოწირულებას.

საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი.

თავმჯდომარე ნ. გაბაშვილისა. გოლოვინის პრ. № 24.
(3—1)

## განცხადება

თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა

**დგება მოხალისეთა რაზმები**

სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლიან ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჟ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან **1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897** და **1898,** წლებში დაბადებული ახალგაზდები.

1. ყველა მოხალისეთ, რომლებიც მსახურებენ სხვა და სხვა დაწესებულებაში—ადგილები შეენახებათ. 2. სამხედრო მოქმედების გათავების შემდეგ თავისუფალნი იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს, გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკვირელს, დ ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

**ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან – 14 საათამდე და 16 საათ. – 18 საათამდე.**

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი გენ.-მაიორი მაღალაშვილი.
19 ქრისტეშობისთვე, ქ. თბილისი. 5—5

**29 მარიამობისთვეს (ახ. სტ.)** ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

**უკვალოდ დაიკარგა**

1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი დავით არონის ძე ელიგულაშვილი.

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

**ჯილდოს მიღებით**

შეატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი მიხაილის ქ. საკუთ. სახლი არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს.
(12—1956—9)

## ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

# საქართველო

მიიღება ხელის მოწერა **1919** წლისათვის

ხელის მოწერის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 150 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 75 „ |
| სამი თვით | 40 „ |
| ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) | 15 „ |

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

ფოსტის ადრესი: თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.

ტელეგრაფის ადრესი: თბილისი „საქართველო".

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

— ◆ —

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

გერონტი ქიქოძის წიგნი **„ეროვნული ნერგი"**
(კრებული წერილებისა)

## წინადადება

სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველო-სომხეთის ომში მესამე ძალა შუამავლად გამოდის და წინადადებას იძლევა სისხლის ღვრა შეჩერდესო. ჩვენ არ ვიცით, თუ რა პირობებს შეიცავს ეს წინადადება. ვინც გაეცნობა ამ ომის ისტორიას, ერთად ერთ რწმენას გამოიტანს, ერთად ერთ დასკვნამდე მივა: რომ საქართველოს მთავრობას და მასთან ერთად მთელ ქართველ ხალხს გამოუჩენია მშვიდობიანობის მოყვარეობის განსაცვიფრებელი მაგალითი და რომ მათ სავსებით ამოუწურავთ ყველა შესაძლებლობა და ღონისძიება სისხლის ღვრის ასაცდენათ. დოკუმენტებით და წარუხოცელის ფაქტებით დამტკიცდება, რომ თაოსნობა ამ ომის გაჩაღებისა და მთელი პასუხისმგებლობა სისხლის ღვრისა ედება სომხეთის მთავრობას. ცოცხალი ფაქტები მეტყველებენ, რომ თავდამსხმელია სომხეთის მთავრობა; ფაქტები მეტყველებენ რომ სომხეთი ამისთვის წინასწარ მოემზადა და ფაქტები მეტყველებენ, რომ სომხის ჯარი საქართველოს შუა გულში შემოიჭრა და ზედ თბილისს წამოადგა. საქართველომ მხოლოდ ამის შემდეგ იარალი აიღო. გარდაწყვეტილება მთავრობისა და ხალხისა, მიზანი ომისა არის ერთადერთი: მტრის განდევნა საქართველოს საზღვრებიდან; საქართველოს მიწა-წყლის მთლიანობის აღდგენა და დაცვა. ერის სიცოცხლე და საცხოვრებელი ამ მიზნისთვის ზვარაკად არის გაღებული. ერის ღირსება და მომავალი ამ მიზნის განხორციელებაშია ჩამარხული.

მობილიზაცია ეხლა მთავრდება. ჯარი ბრძოლის ველზე ეხლა იყრის თავს. ფართო და ძლიერი შეტევისათვის ეხლა განმზადდა ყველა საჭირო ნივთიერი პირობები, ხოლო ერისა და ჯარის სულიერი განწყობილება უზენაესად პატრიოტულია და თავდადების გაუტეხავი გადაწყვეტილებით გაკაჟებული. მახვილი საქართველოსი მხოლოდ ეხლა აღიმართა. და ამ დროს მოდის მესამე ძალა სისხლის ღვრის შეყენების წინადადებით. ასეთი წინადადება თავისთავად პატივსადებია. საქართველოს მშვიდობიანობის სიძულვილით ომი არ დაუწყია. და მარტო მშვიდობიანობის სიყვარულისათვის იარაღს ვერც დაუშვებს. ქართველი ხალხის ნებისყოფას და მთელ მის რთულ პსიხოლოგიურს და სახელმწიფოებრივ-ეროვნულ ენერგიას განაგებს ერთი გარდუვალი ძალა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ამის დამრღვევი მტრის განდევნა. ეს სტიქიური, ქარიშხლიანი ქროლვაა, რომელშიაც მთელი ერია მოყოლილი.

სისხლი სისხლისთვის გვძაგს. მაგრამ სიკვდილი და სისხლის დაღვრამ სამშობლოს მაღალ იდეისა და სიმართლის დაცვისათვის კი გვიზიდავს. ამ მხრივ დასავლეთ ევროპის დიდ ერებს პატარა საქართველო პირველობას არ დაუთმობს. ვინც ჩვენთან კეთილგანზრახვით და მშვიდობიანობის სიყვარულით მოდის, ყველა ამას ანგარიშს გაუწევს და თავის წინადადების პირობებს ააგებს ამ ომის ისტორიის გაცნობასა და საქართველოს ფაქტიურ ვითარების და მის მიზნების შესწავლაზე. ამგვარი წინადადება, წინ და წინ ვამბობთ, შეიცავდეს იქნება უფლების, სამართლიანობის და მშვიდობიანობის მოყვარულ საქართველოს დამაკმაყოფილებელ პუნქტებს:

მტერმა უნდა დასტოვოს ბორჩალო ბამბაკი და ჯავახეთი. მხოლოდ ამგვარ წინადადებას სიამოვნებით შეეგებება მთელი ქართველი ხალხი. საქართველოს ტერიტორიაზე მტრის დატოვების წინადადება-კი აშლის ერსა და ქვეყანას, დაბადებს წინააღმდეგობას და ქარიშხალს. საქართველოს მთავრობამ ამ საკითხში უნდა გამოიჩინოს იმ თავდადების შესაფერი ღირსება, რომელსაც ამ ომისთვის ქართველი ერი გვაძლევს.

## კიდევ გეგეჭკორის პოლიტიკისთვის

მეტის-მეტად მძიმე და უმადური საქმე იკისრა გაზეთმა „ერთობამ": ევ. გეგეჭკორის პოლიტიკის დაცვა. თუ გაზეთის გუშინდელ მეთაურს დავუჯერებთ, ამ პოლიტიკას უდიდესი გამარჯვება რგებია. ეს უდიდესი გამარჯვება თურმე იმაში იხატება, რომ „საქართველოს დემოკრატია დღეს, განურჩევლად ეროვნებისა, ამართლებს ჩვენს მთავრობას, ხოლო სომხეთის მთავრობას ომის მიზეზად და გამომწვევად აცხადებს". მხოლოდ ერთადერთი ნაციონალისტური გაზეთი „საქართველო" იწუნებს გეგეჭკორის მოქმედებას; მაგრამ ეს სოციალ-დემოკრატიულ ორგანოს შეხედულებით, რასაკვირველია, ანგარიშში მისაღები არ არის.

მაგრამ დიდათ საყურადღებოა რომ „ერთობის" ხელმძღვანელებს თავში არ მოსვლიათ უბრალო საკითხი: თუ საქართველოს დემოკრატია თბილისის მთავრობას ამართლებს, ხოლო ერევნისას ამტყუნებს, როგორ სჯის თავის მხრივ სომხის დემოკრატია? ჩვენ გულუბრყვილო ინტერნაციონალისტებს და მათ შორის ევ. გეგეჭკორს გულწრფელად სწამდათ, რომ სომხის ხალხი დაჰგმობდა „ავანტიურისტ-დაშნაკელების" პოლიტიკას და ძმურად ხელს გაუწვდიდა საქართველოს დემოკრატიას. მაგრამ ეს რწმენა არ გამართლდა. როგორც სჩანს სომხის ხალხი თავის მხრივ ამართლებს ერევნის მთავრობას, ხოლო თბილისისას ამტყუნებს.

აქედან ცხადია რომ სუბიექტური რწმენა არ კმარა მთავრობის ან რომელიმე მინისტრის პოლიტიკის გასამართლებლად. ჩვენ ყველანი კარგი აზრისა ვართ ჩვენს მთავრობაზე. განსაკუთრებით კარგი აზრისა არის რასაკვირველია თვით გაზეთი „ერთობა". მაგრამ საჭიროა ამ ჩვენი აზრის ობიექტური ვერიფიკაცია. როგორც ცნობილია, პოლიტიკის ავკარგიანობის საუკეთესო საზომი საგარეო ძალასთან შეჯახება ანუ ომია. ომმა კი ორჯერ უცილობლად დაამტკიცა, რომ ე. გეგეჭკორის პოლიტიკა დიდათ საშიშია სახელმწიფოსათვის.

რა არის ამ პოლიტიკის მთავარი დამახასიათებელი თვისება? რასაკვირველია არა განსაზღვრული ორიენტაცია ან განსაზღვრული სიმპატიები. ამისთვის ჩვენს საგარეო მინისტრს არავინ დაიწუნებდა. ჩვენ ე. გეგეჭკორს ვებრძვით არა სომხოფილობისა ან მით უმეტეს ანგლოფილობისათვის, არამედ იმიტომ რომ მას არა აქვს მტკიცე და გარკვეული პრინციპები. გაზეთი „ერთობა" ამტკიცებს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის სახელმძღვანელო პრინციპი მშვიდობიანობის და საერთაშორისო სოლიდარობის დამყარებაა: მას, როგორც ინტერნაციონალისტს, „არ შეეძლო დაშნაკურ მუხანათობის გზაზე შემდგარიყო და სომხეთს უმალვე იარაღით თავს დასხმოდა".

რასაკვირველია მეტის მეტად ამაღლებული იდეალია მშვიდობიანობისა და კაცთა შორის სათნოების დამყარება: მაგრამ არ შეიძლება, რომ სახელმწიფო მოღვაწემ ეს განყენებული იდეალი ყოველ კონკრეტულ პირობებში სახელმძღვანელო პრინციპად აღიაროს. ეს თუნდაც თვით ევ. გეგეჭკორის მოქმედებამ დაამტკიცა. მას რომ არარატის რესპუბლიკის ულტიმატუმი მიეღო, საქართველო ალბათ თავიდან აიცდენდა დღევანდელს ომს. მაგრამ თვით უკიდურესმა პაციფისტმა, როგორც სჩანს, ნათლად დაინახა რომ არის მდგომარეობა, როცა ზავს ომი სჯობია.

და ამაშია სწორედ ე. გეგეჭკორის მთავარი შეცდომა, რომ მან ეს ჭეშმარიტება ძალიან გვიან შეიგნო. როცა საგარეო საქმეთა მინისტრის პორთფელი ჩაიბარა უნდა სცოდნოდა, რომ ტომას მორის ბედნიერ კუნძულზე კი არ სცხოვრობს, არამედ საქართველოში, სადაც მშვიდობიანობის დამყარება საკუთარ სურვილებზე არ არის დამოკიდებული. ბ. ნ. ჟორდანიამ პარლამენტის ტრიბუნაზე სამართლიანად აღნიშნა, რომ თუ ქართველ ხალხს ზავი სწყურია, სომხობას პირიქით ომი უნდა და ჩვენ იძულებული ვართ ჩვენს მეზობელს მშვიდობიანობა იარაღით მივაღებინოთ.

ჩვენი საგარეო მინისტრი იმ სიბრძნის წინააღმდეგ მოქმედებდა, რომელიც რომაულ ანდაზაში გამოიხატა: თუ ზავი გინდა, ომისთვის ემზადეო. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ სომხეთი კარგა ხანია საქართველოზე თავდასასხმელად ემზადებოდა. ევ. გეგეჭკორი კი სამხედრო მოქმედების დაწყების შემდეგაც არწმუნებდა პარლამენტს, რომ სომხის ხალხი და მთავრობა არაფერ შუაშია, ყველაფერი უპასუხისმგებლო ავანტიურისტების და ბანდების საქმეაო. ამ გარემოებამ უეჭველად მომადუნებელი გავლენა იქონია ჩვენს მილიტარულ ნების ყოფაზე. პირველი ეშელონები და ჯავშნიანი მატარებლები ომში წავიდნენ იმ რწმენით, რომ უბრალო აჯანყების ჩასაქრობად მიდიოდნენ და საშინელ მახეში მოხვდნენ.

სანაინისა და ეკატერინოფელდის ტრაგედიით ქართველმა დემოკრატიამ გამოისყიდა თავისი ხელმძღვანელების ინტერნაციონალისტური ილუზიები. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი ჯარისკაცის და გვარდიელის მიერ დაღვრილი სისხლი უნაყოფოდ არ ჩაივლის და საქართველო გამარჯვებული გამოვა ამ განსაცდელისაგან. მაგრამ ეს მოხდება არა ე. გეგეჭკორის პოლიტიკის წყალობით, არამედ მის წინააღმდეგ. და მაშინ დემოკრატია სხვანაირად დააფასებს ჩვენს საგარეო მინისტრს.

# პ რ ე ს ს ა

**„ერთობა" თბილისის საფრთხეზე.**

„ერთობა"-ს თანდათან ეტყობა გამოფხიზლება, უკანასკნელ მეთაურში ის არკვევს ომის დამწყებთა ვინაობას და ააშკარავებს იმ საფრთხეს, რომელიც მოელის თბილისს სომხებისაგან. გაზეთი სწერს:

მთავარი სათავე აჯანყების ყოველთვის იყო თბილისი. აქ, აქაურ ბურჟუაზიის, ფინანსისტების წრეებში ინასკვებოდა აჯანყების კვანძი.

და ახლაც საქართველოს და სომხეთის ომი აქედან ნაკარნახევია. ერევნის მთავრობას არ ჰქონდა შეძლება და არც უნარი ბრძოლისა მის გამბედაობას, მის პოლიტიკურ ხაზს თბილისი უკარნახებდა.

ამიტომ მთავარი დამნაშავე ომისა სომხის ავანტიურისტებთან და ერევნის მთავრობასთან ერთად არის თბილისის ბურჟუაზია. ამ ომის მოგებით სომხეთისაგან პირველად ყოვლისა ის დარჩება მოგებული, ის გაბატონდება მთელ თბილისზე და აქედან მთელ ამიერ-კავკასიაზე. ომის წაგებით სომხების მიერ იგი დაკარგავს აქ თავის ერთ ძლიერ სიმაგრეს და იძულებული გახდება საქართველოს დემოკრატიის მორჩილება აღიაროს.

ბევრსა ჰგონია, რომ მის ალაგს აქ დაუყოვნებლივ ქართველი ბურჟუაზია გაბატონდებაო. ეს დიდი შეცდომაა. მართალია ეკონომიურათ ქართველი ბურჟუაზია ამით დიდათ მოღონიერდება, წელში გაიმართება, მაგრამ საქართველოს დემოკრატია კიდევ უფრო გაძლიერდება და ფრთას გაშლის.

სომხეთის დამარცხებით საქართველოს დემოკრატია დაამარცხებს უძლიერეს მტერს ყოველი დემოკრატიისას: სოლოლაკის პლუტოკრატიას, სომხის ფინანსისტ-მრეწველვაჭართა რეაქციონურ არმიას და ამით საბოლოოთ გასწმენდს ნიადაგს დემოკრატიის ბატონობისათვის.

ამიტომ საქართველო სომხეთის ომი საქართველოს დემოკრატიისათვის არის ომი იმ დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლად, რომელსაც რევოლიუციის პირველ დღიდან შევხარით და რომელსაც ვიცავდით ბოლშევიკებისა, ოსმალეთის ჯარისა და სხვა ყოველგვარ რეაქციონერებისაგან.

ბორჩალოს მაზრის საკითხი ამ ომში არის საკითხი სახელმწიფო საზღვრების იმიტომ, რომ იგი არის საკითხი თბილისის შენარჩუნებისა. ბორჩალოს დაკარგვით, ჩვენ ვკარგავთ თბილისს, ვკარგავთ დემოკრატიას. ბორჩალოს გაწმენდით სომეხთა ჯარისაგან, ჩვენ ვამაგრებთ თბილისის დემოკრატიულ სულისკვეთებას, დემოკრატიულ მისწრაფებებს. სომხებსაც ბორჩალო მხოლოდ ამ მხრივ აინტერესებთ. მათ უნდათ თბილისი ჩაიგდონ ხელში, ან გარეშე ძალა მაინც გახადონ თბილისის პატრონად, რომ ამით ჩვენი დამოუკიდებლობა დაამხონ.

* * *

**სომხური პრესსა ომისა და ზავისათვის**

„მშაკი" № 264, 24 ქრისტეშობისთვეს, აღნიშნავს, რომ ორ მოძმე დემოკრატიათა შორის ჩამოვარდნილი სისხლის ღვრა დიდი უბედურებაა როგორც მებრძოლი მხარეებისთვის, აგრეთვე ყველა კავკასიის ერებისთვის.

„ასეთი მდგომარეობა გვიქადის ამიერ-კავკასიის დემოკრატიის პოლიტიკური ცხოვრების სრულ დამხობას.

ამ მდგომარეობიდან კავკასიის ერებს შეუძლიათ გამოსვლა მხოლოდ მაშინ როცა სადაო საკითხები გადაჭრილ იქნებიან ერთმანეთთან შეთანხმებით. ყოველივე სხვანაირი გადაწყვეტა საკითხისა, თუმცა დროებით ზავს მოგვცემს, მაგრამ სამუდამოდ გაართულებს ჩვენს ცხოვრებას, სრულიად დახლართავს კავკასიის ერთა ურთიერთობას და გააღრმავებს იმ უფსკრულს (მათ შორის) რომელიც უკვე გათხრილია... ჩვენმა მესვეურებმა უნდა ნათლად შეიგნონ რომ ერთ ერს არ შეუძლია მეორე ერის მოსპობა და სოლიდარულ ცხოვრების გარეშე არ არის და არც შეიძლება შეიქნეს მშვიდი კულტურული მუშაობა ამიერ-კავკასიაში. თუ ეს დებულება მართალია, მაშინ ერთად-ერთი სწორი გამოსავალი—სადავო საკითხების გადასაჭრელად არის არა იარაღი ან რომელიმე სხვა იძულებითი ძალა არამედ საურთიერთო შეთანხმება. ამ შეთანხმებას შეიძლება მივაღწიოთ კონფერენციაზე, და არათუ შესაძლებელია, არამედ ვალდებულნი არიან მებრძოლი მხარეები მიაღწიონ ამ შეთანხმებას. ამ საქმეში ყოველი წუთის დაგვიანება ბოროტმოქმედებაა კავკასიის ერთა წინააღმდეგ. უნდა ვაჩქაროთ, სასწრაფოდ მოვიწვიოთ ამიერ-კავკასიის კონფერენცია. ეს მომენტის კატეგორიული მოთხოვნილებაა. კონფერენცია და მშვიდობიანი გადაწყვეტა ყველა სადაო საკითხებისა... უნდა ვიჩქაროთ, სანამ გვიან არ არის".

მაუზერების მოტრფიალე დაშნაკცაკანები დამშვიდობიანობა?! უნუგეშო მდგომარეობაა! დაშნაკელებს მხოლოდ იარაღით დაიმორჩილებ და დააჯერებ. სხვა საბუთი არ არსებობს!

# საქართველო-სომხეთის ომი

## ჯამალიანის წასვლა

სომხეთის ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკის წინაშე ბათომში წავიდა.

—

## რუსების მობილიზაცია

საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა რუსთა ეროვნულ საბჭოს აცნობა რომ, მთავრობის დადგენილებით, გამოცხადებული მობილიზაცია რუსებს არ ეხება.

—

## სომხის ახალგაზრდობა

ჯარში გასაწვევ სომხის ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა თხოვნით მიმართა რუსთა ეროვნულ საბჭოს ჩარიცხონ ისინი რუსეთის ქვეშევრდომებათ, და აცდინონ მათ თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილებისა, სამხედრო ტყვეობა, და თბილისის გუბერნიიდან გასვლა.

—

## ჩ ხ რ ე კ ა

სამშაბათს 23 ქრისტეშობისთვეს გენერალ გუბერნატორის განკარგულებით სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოება გასჩხრიკეს. დააპატიმრეს რამოდენიმე სომეხი ახალგაზრდა.

—

## საგანგებო რაზმის მოქმედება

საგანგებო რაზმმა შეიპყრო კაპიტანი კარტაშევი, პოლკოვნიკი კრეტამანოვი, გენერალი ხაჩატუროვი, პოლკ. დოლუხანოვი, არქიმანდრიტი ზენიკი, არუტიუნიანცი, პოლოსოვი, ბესაკ ომირზიანცი, ეგა ადამიანცი, ხაჩატურ აგაბებიანცი, ხაჩატურ კაზარიანცი, ნ. მილიუკოვი, აბგარ ოგანესიანცი, არუტინ სოლოგოვი, მიხეილ ფისენკო, ივანე ადონკი, ნ. ყორგანოვი, იოსებ ხუნუნცი, ნ. საფარიანცი, ლ. კარტაშევი, ავეტიქ ეკმალიანცი, მ. ასვაცატუროვი, ა. დრობიშელი, გ. ხაჩატურიანცი, ნ. ტერ-არაქელოვი, პ. შამალიანი, უსიპ ოვიანცი, ა. ბუბკოვი, ი. მურადოვი, ა. აპრელოვი, სტ. ხაჩიკიანცი, გ. ჯამაგორიანცი, ა. ბარხუდაროვი, პოდპოლკ. ბეგხანოვი, ნ. და კ. ნალბანდიანცი. ყველა ამ პირთ ბრალდებათ მოხალისეთა რაზმის შედგენა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

## დეპეშები მთავრობის თავმჯდომარის სახელზე

ქიათურაში შემდგარი რესპუბლიკის ჯარის დამხმარე კომიტეტი თქვენის სახით სალამს უძღვნის საქართველოს მთავრობას და ჯარს და აღუთქვამს, რომ მზად არის თავი დასდოს სამშობლოს თავისუფლებისათვის და გაიღოს ყოველი მსხვერპლი ჩვენი ქვეყნის დასაცველად. თავმჯდომარე **მოდებაძე**.

—

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა ფოთის ორგანიზაციის საზოგადო კრებამ ქართველ-სომხეთა ომის გამო გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: იზიარებს რა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ორგანიზაცია მზად არის დაეხმაროს მთავრობას ყოველნაირ საშუალებით. გაუმარჯოს საქართველოს მხედრობას, გაუმარჯოს საქართველოს მთავრობას, გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. კრების თავმჯდომარე **ეხაკია**.

—

გორის მუშათა საბჭომ, რომელზედაც მოწვეული იყო თვითმართველობის, სამაზრო ერობის და სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენელნი, მოისმინა რა მიმდინარე მომენტზე მოხსენება, დაადგინა: კრება მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და სწამს, რომ ის ააცდენს საქართველოს დემოკრატიას მოსალოდნელ საფრთხეს. კრება მთელის თავის ძალღონით დაეხმარება მას ამ პასუხსაგებ მომენტში. კრების თავმჯდომარე **კობერიძე**.

—

შორაპნიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: შორაპნის სამაზრო ერობის მოწვეული მიტინგი, რომელსაც დაესწრო რამდენიმე ათასი სოფლელი. გესალმება თქვენ და ფიცსა სდებს, რომ არავის მისცემს ნებას შებილწოს საქართველოს თავისუფლება. გაუმარჯოს ჩვენს ჯარს და გვარდიას. მიტინგის თავმჯდომარე **ჭანიშვილი**.

—

## საქართველოს საკრებ. დაწეს. ბიუროს დადგენილება

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა ბიურომ ყველა საკრედიტო დაწესებულებებს შემდეგი უწყება დაუგზავნა; საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა ბიურომ საერთო კრებაზე ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილების წარმომადგენლების თანდასწრებით დაადგინა: 1) შესდგეს საკრედიტო დაწესებულებათა ფონდი ომის საჭიროებისთვის, (ლაზარეთის მოწყობა, მოკლულ-დასახიჩრებულთა ოჯახებისთვის და სხვა დახმარების აღმოსაჩენად). (2 ამ ფონდის გასაძლიერებლად წინადადება მიეცეს საქართველოს საკრედიტო დაწესებულებებს § (ბანკებს, საურთიერთო ნდობის საზოგადოებებს, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს და მათ კავშირებს). ა) დაუყოვნებლივ საერთო კრების მოწვევამდე, საკრედიტო დაწესებულებათა საერთო ნაღდ ფულიდან, თანახმად მათი გამგეობათა და საბჭოთა დადგენილებისა, გადაიდოს ერთდროული შეწირულება და ბ) გაიხსნას ხელის მოწერით და შემოწირულებათა მოკრება გამგეობის წევრთა თანამშრომელთა შორის და აგრეთვე მოეწყოს ფულის მოკრება საკრედიტო დაწესებულებათა წევრების, აქციონერებისა და კლიენტების შორის. 3) მთელი შეკრებილი ფული სასწრაფოდ გამოეგზავნოს თბილისში სამეურნეო, ან ამიერ-კავკასიის ბანკს, სადაც გახსნილია სპეციალური ფონდის ანგარიშები ომის საჭიროებათათვის, (ყველა შემომწირველთა სიები და შეწირულობის რაოდენობა გაზეთებში გამოქვეყნდება). 4) კვირას, 29 დეკემბერს დილის 11 საათზე თბილისში სამეურნეო ბანკის დარბაზში მოწვეულ იქნეს საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენელთა ყრილობა საქართველოს ხაზინის მიერ 50 მილიონ მანეთის ღირსებულების 5 პროც. მოკლე ვადიან სესხის განაღდების და სხვა მიმდინარე საკითხების განსახილველათ.

—

## საქართველოს მეაფთიაქეთა კავშირი.

საქართველოს მეაფთიაქეთა კავშირმა იქონია მსჯელობა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მიიღო რა მხედველობაში, რომ დღევანდელი სისხლის ღვრის გამოწვევით იგი აღშფოთებულია იმ საშუალებით, რა საშუალებითაც იგინი ცდილობენ ტერიტორიალურ, ეკონომიურ-პოლიტიკურ საკითხების გადაჭრას, და დაადგინა: დაეხმაროს ყოველ მხრით საქართველოს მთავრობას მის თავისუფლების და რესპუბლიკის დაცვაში.

—

## ქართველი სტუდენტები.

ხუთშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს საღამოს 6 საათზე ინსტიტუტის შენობაში დანიშნულია სრულიად ქართველ სტუდენტების სასწრაფო კრება.

—

## ქალაქთა კავშირის ბიურო.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის შემსრულებელმა მთავარ ბიურომ თავის სხდომაზე 23 ქრისტეშობისთვეს დაადგინა: კვირისთვის 29 ქრისტეშობისთვის დილის 12 ს. ტფილისის ქალაქთა გამგეობის შენობაში დანიშნოს სხდომა საქართველოს ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა ქალაქის ხმოსანთა თანადასწრებით დღევანდელ მდგომარეობის და საჭიროების საკითხების გადასაწყვეტად, და აგრეთვე სასანიტარო საქმის მოსაწყობად.

—

## დ ო კ უ მ ე ნ ტ ი

ბრძოლის ველზე დატყვევებულ სომეხ სამხედრო ტყვეს შემდეგი დოკუმენტი აღმოაჩნდა:

ა ხ ლ ი.

**საოპერაციო.**

**ბრძანება ლორში მომქმედ რაზმს № 603.**

1918 წ. 13 ქრისტეშობისთვე, დ. ჯალალ-ოღლი.

რუქა 5 ვერსით დუიმში.

§ 1.

ქართველ ჯარებს უჭირავთ სოფ. ვორონცოვკა და პრივოლნოე.

§ 2.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაჭერილ უნდა იქნეს ლორი და ბორჩალოს მაზრა მდინარე ხრამამდე.

ჩემდამი რწმუნებულ რაზმს ნაბრძანები აქვს დაუყოვნებლივ დაიწყოს შეტევა, დაიჭიროს სოფ. ვორონცოვკა და პრივოლნოე.

ამისათვის ვბრძანებ:

ბრძოლის ხაზი, კაპიტანი **სტეფანიანცი**. (6 როტა სომხეთის ქვეითა ჯარის მე-5 პოლკისა სახელდობრ: 4, 5, 9, 10, 11 და 12).

არტილერიის მწყობრი—2 ზარბაზანი და 4 სამთო ბატარეა. ტყვიისმფრქვეველის მცირე გუნდი „მაქსიმისა" 8 ტყვიისმფრქვეველი, 6 „კოლტისა".

სომხეთის ქვეითა ჯარის მე-5 პოლკის მზვერავი ცხენოსანი რაზმი [illegible]. სულ 6 როტა, 2 ზარბაზანი, 14 ტყვიისმფრქვეველი და ოცი ცხენოსანი.

შეტევით წავიდეს არა უგვიანეს 22 საათისა სოფ. ვორონცოვკასა და პრივოლნოეს მიმართულებით იმ ანგარიშით, რომ გათენებამდის ეს სოფლები იერიშით აიღონ.

მე-4 გუნდი ტყვიისმფრქვეველების რაზმით წავიდეს წინამავალად, ხოლო მე-9 და 10 როტები 40 ნაბიჯის დაშორებით შახმატის წესით მიჰყვეს მე-4 როტას და ბრძოლისათვის გაშლის დროს დაეწყოს მწყობრ ჯგუფებად.

მე-11 გუნდი ხეობიდან გასვლისთანავე მხარს აუხვევს ალექსანდროვკას ურუგის და აიდარბეკის მხრით და წავა ს. პრივოლნოეზე იმ ანგარიშით, რომ იერიშით აიღონ გათენებამდის.

მე-12 როტა მებრძოლ ჯგუფების უკან 300 ნაბიჯზე უნდა იდგეს მარქაფად.

არტილერია მიდის ჯალალ-ოღლი-ვორონცოვკას გზატკეცილით მარქაფად მე-12 როტის ნახევარ როტების შუა.

ტყვიისმფრქვეველების რაზმი მისდევს მე-12 როტას დამოუკიდებლად.

ცხენოსანთა მზვერავი რაზმი წავა სამ წყებად ფრთებზე და წინ.

მე-5 გუნდი 22 საათზე პეტირ-ბულახიდან წავა ვორონცოვკაზე, დამოკიდებულება ექნება კაპიტან სტეფანიანცთან, რომელიც შეტევით მიდის გზატკეცილით და იმასთან ერთად ერთდროულად იერიშს მიიტანს ვორონცოვკაზე დასავლეთით.

მე-12 გუნდის უფროსის განკარგულებაში გადაეცეს მწყობრი, რომელიც დაიფარავს არტილერიას.

იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგემ ანაკლის მთა დაიჭირა, უნდა გარეკოთ ის და წაიწიოთ ვორონცოვკისაკენ.

ვორონცოვკასა და პრივოლნოეს დაჭერის შემდეგ სოფლები გაიწმინდოს და ფეხდაფეხ მიჰყვეთ ჯარს, ვიდრე ტყვედ არ დაგნებდებათ.

საერთო მარქაფი (პორუჩიკ ზურაბიანცი) სომხეთის ქვეითა ჯარის მე-5 პოლკის მე-5 გუნდი, სახელდობრ: 1, 2. 3, 7 და მე-8 გუნდები, რაზმი 4 „კოლტის", 4 ტყვიისმფრქვეველით, ერთი ზარბაზანი მე-4 სამთო-ბატარეისა. სულ 5 გუნდი, ერთი ზარბაზანი, 4 ტყვიისმფრქვეველი. ჯალალ-ოღლში მისვლისთანავე გზატკეცილით უნდა გაემართოს სოფ. ვორონცოვკასკენ თავდაცვის ზომების მიღებით, ვიდრე ჩემს განკარგულებას მიიღებდეთ.

§ 3

მოეწყოს ტელეფონით დამოკიდებულება ჩემს შტაბს, ბრძოლის ასპარეზის უფროსსა და საერთო მარქაფა ჯარის უფროსთან.

§ 4

მიეცეს თითო ჯარის კაცს 200 პატრონა.

§ 5

სასროლი მასალები შეივსეთ ჯალალ-ოღლიდან.

§ 6

დაჭრილთა შემხვევი პუნქტი ექიმმა პილისიანცმა გახსნას ვორონცოვკასთან ახლო, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამ სოფელს დავიჭერთ, დაამზადოს იქ საკმარისი მედიკამენტები და შესახვევი მასალა.

§ 7

საბარგო ურმები განსაკუთრებულ განკარგულებამდის ჯალალ-ოღლში დარჩნენ, საბარგოს უფროსად ვნიშნავ პროპორჩიკ მნაცაკანიანცს. საბარგოს დასაცავად ვნიშნავ 5 პოლკის მე-7 გუნდს.

§ 8

შტაბი პირველად მე-12 გუნდთან იქნება მოწყობილი და იქ უნდა იგზავნებოდეს ყველა ცნობები. ხოლო თუ შტაბის მდებარეობა შეიცვალა, დაუყოვნებლივ გეცნობებათ.

§ 9

ჩემი მოადგილენი: კაპიტანი სტეფანიანცი, პორუჩ. ზურაბიანცი

ნამდვილი ხელმოწერილია რაზმის უფროსის პოლკ. **ტერ-ნიკოლოსოვის** მიერ.

დედანთან სწორია: შტაბის უფროსი პოდპორ. დარიელიანცი

—

## თბილისის ქართველ ქალთა კრება.

1918 წ. 22 ქრისტეშობისთვეს შესდგა თბილისის ქართველ ქალთა საზოგადო კრება. თავმჯდომარემ, ქ-ნმა განდეგილმა, სიტყვით მიმართა ს—ბას, აღნიშნა ჩვენი მდგომარეობა სომხების მუხანათურ თავდასხმის გამო და მოუწოდა ქართველ ქალებს მთელის ძალღონით დავეხმაროთ სამშობლოს დასაცველად მთავრობას და მხედრობას,

# საქართველო სომხეთის ომის მნიშვნელობა

ეროვნული შეგნება უცბად არ იშობება, არამედ, როგორც ყველაფერი ორგანიული, განვითარების შედეგს წარმოადგენს.

ასი წლის მონობამ ქართველი ხალხის სულში კინაღამ წარხოცა ეროვნული შეგნება და რუსეთის დიდი რევოლუციის დამდეგს, როდესაც საქართველო რუსეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არ ჰქონდა წარმოდგენილი დამოუკიდებელი საქართველოს იდეა. ეს იყო ერთად ერთი მიზეზი ბათომთან დამარცხებისა.

იმავე დროს ჩრდილოეთიდან გადმოსულმა ანტი-საზოგადოებრივმა „ბოლშევიკურმა" მოძრაობამ ახლად ფეხადგმული სახელმწიფოებრიობის სათავეშივე ჩაკვლას ლამობდა.

მაგრამ ეროვნულმა შეგნებამ თანდათან გაიმარჯვა და საქართველო დამღუპველი სამოქალაქო ომის ცეცხლს გადაარჩინა.

ცხადია, რომ ეროვნული შეგნების განვითარება სხვათა შორის ეროვნული განსაცდელის ნაყოფიც იყო. ბოლშევიზმის და ოსმალეთის საფრთხე—აი ის ორი დიდი ისტორიული მომენტი რომელმაც, რასაკვირველია,—სხვა პირობებთან ერთად,—შექმნა ეროვნული შეგნება და საფუძველი ჩაუყარა ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

სომხეთთან ომი ხომ საუკუნოდ აღმოფხვრის ჩვენში ანტისახელმწიფოებრივი თესლის ნაშთსა და საბოლოოდ განამტკიცებს ეროვნულ იდეას.

დღეს ხალხის ფსიხიკაში გარდატეხა მოხდა და საქართველოს შვილთა სულში შეიჭრა საქართველოს სახელმწიფოს იდეა. დღეს მთელი საქართველო გაერთიანებულია, დღეს იშვა ქართველი ერი ამ სიტყვის პოლიტიკური მნიშვნელობით, დღეს მტერს გაერთიანებული საქართველო ებრძვის. ამაშია გამარჯვების საწინდარი.

რა ვუყოთ, სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებად რომ ვართ დაყოფილი. სად არ არიან პოლიტიკური პარტიები?! ეს, პირიქით, ჩვენს პოლიტიკურ განვითარებას მოწმობს: განვითარება—სხვა და სხვაობის, დიფერენციაციის შედეგია.

მაგრამ საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას ერთგვარად სწამს საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ყველა, მიმართულების და განურჩევლად, მზად არის შეებრძოლოს გულდაგულ საქართველოს მტერს.

ამგვარად ხანგრძლივს პოლიტიკურ მძინარეობაში ჩავარდნილმა ქართველმა ხალხმა გაიღვიძა და თავი იცნო, თვალი აახილა და მტერი მოყვრისაგან გაარჩია. ამაშია ჩვენი გამარჯვებისა და მაშასადამე დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საწინდარი.

იმავე დროს საქართველოს დამოუკიდებლობას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ჯერ ერთი, საქართველო—აზიისა და ევროპის შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს. მაშასადამე, ვის ხელშიაც იქნება საქართველო, მას განსაკუთრებული სტრატეგიული უპირატესობა ექნება, რომელიც სახელმწიფოთა შორის წონასწორობას დაარღვევს. მაშასადამე, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა საერთაშორისო წონასწორობისა და მშვიდობიანობის აუცილებელი პირობაა.

მეორე მხრივ საერთაშორისო პოლიტიკური წონასწორობა—ერთა თავისუფალი განვითარების საწინდარია.

მაგრამ რა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის უახლოესი მიზეზი? უეჭველია, საერთაშორისო ომი, რომელმაც დაამყარა საერთაშორისო წონასწორობა, ბოლო მოუღო ერთი ერის მიერ მეორე ერის დამონებას და მაშასადამე კაცობრიობის ისტორია შუაში გაჰყო. დაინგრა ავსტრია ჰუნგრეთის თვითმპყრობელობა და მის ნანგრევებზე დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფონი აშენდენ.

რუსეთის უზარმაზარმა იმპერიამ, რომელსაც ქვეყნის მეშვიდედი ეჭირა, ვერ გაუძლო ისტორიულ გამოცდასა.

ეროვნულ სახელმწიფოებადვე დანაწილდა და, უეჭველია, ფუჭად ჩაივლის შრომა ამ დაშლილი სხეულის კვლავ შეკოწიწებისა და გამთელებისათვის.

და სომხეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების შეცდომა სწორეთ ის არის, რომ მსოფლიო ისტორიის მიმართულებას ანგარიში არ გაუწიეს და თავისი პოლიტიკა მკვდარი იმპერიის აღდგენის საკითხს დაუკავშირეს.

ამიტომ აქვთ მათ კავშირი რუსეთის ერთმანეთის მოპირისპირე ძალებთან, ე. ი. როგორც ბოლშევიკებთან აგრეთვე მონარქისტებთან: მაათთვის სულ ერთია, რომელი მათგანი გაიმარჯვებს, ოღონდ კი რუსები ამიერკავკასიაში კვლავ შემოიჭრენ და ძველებურადვე გაბატონდნენ.

რით აიხსნება ასეთ პოლიტიკა. უეჭველია, მით, რომ სომხებს ამიერკავკასიაში საკუთარი ტერიტორია არ აქვთ, განბნეული არიან. გაერთიანებულ ამიერკავკასიაში კი რუსეთის მფარველობის ქვეშ მნიშვნელოვან ძალას შექმნიდენ.

მაგრამ კარგად იციან, რომ საკუთარი ძალით ჯავახეთს, ბორჩალოსა და თბილისს ვერ წაგვართმევენ, და ამიტომ ომში ჩვენ წინააღმდეგ რუსეთის ჩათრევას ლამობენ.

ნათქვამიდან სჩანს, რომ სომხეთის პოლიტიკა ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს, აგრეთვე ადერბეიჯანისა და მთიელთა პოლიტიკას და მაშასადამე სომხები პოლიტიკურად გამოსხლეტილი არიან ამიერკავკასიის ერთა შორის. იმავე დროს საქართველოს პოლიტიკა ემსახურება არა მარტო საკუთარის, არამედ ადერბეიჯანისა და მთიელთა დამოუკიდებლობის საქმესაც.

კიდევ მეტი: საქართველო ხელს უწყობს კასპიის იქითა ქვეყნებისა და უკრაინის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საქმეს: ცხადია, რომ, რუსეთმა თუ საქართველო დაიპყრო, ხსენებული რესპუბლიკები დამოუკიდებლობას ვერ შეირჩენენ.

ერთი რამ არის კიდევ აღსანიშნავი. საქართველო სომხეთთან შედარებით ევროპის ნაწილია. საქართველოს გამარჯვება იქნება იმავე დროს ცივილიზაციის გამარჯვება, სომხეთის გამარჯვება კი, პირიქით, ბარბაროსობის გამარჯვება იქნებოდა.

დიაღ! დიდ განსაცდელში ჩაგდო საქართველო და მთელი ამიერ და იმიერ კავკასია სომხეთის მზაკვრულმა პოლიტიკამ. მაგრამ, იმედია, რომ ეროვნული შეგნება და გაერთიანება შეგვაძლებინებს ბრძოლის დაგვირგვინებას გამარჯვებით და არც ერთს ქვეყანას უკან არ ჩამორჩება შემოქმედებითს მუშაობაში კულტურისა და ცივილიზაციის სარბიელზე.

მაგრამ სიფრთხილე გვმართებს. მართალია, სომხის ხმალი არასოდეს არ სჭრიდა ისე მარჯვედ როგორც ქართველის ხმალი. მაგიერად სომხეთა დიპლომატია ყოველთვის დაჟინებით მოქმედებდა და, თუ რუსეთის შემოსვლა საქართველოში სომხური დიპლომატიის შედეგი იყო, დღესაც იგივე დიპლომატი უთხრის ძირს ჩვენს დამოუკიდებლობას.

ჩვენ ინტერნაციონალურ ქსელში გავებით და მორიდებისა და დათმობის პოლიტიკამ ლამის უფსკრულში გადაგვიძახოს და მხოლოდ მაშინ გავახილეთ თვალი და დავინახეთ, როდესაც სომხები მოულოდნელად თავს დაგვეცენ და დიპლომატიური ობობას ქსელი გარს შემოგვახვიეს.

ჩვენი პოლიტიკური თვითარსებობა განსაცდელშია და საქართველომ უკანასკნელი თავდასაცავი ძალები უნდა მოიკრიბოს, რომ მტერთა შემოსევას ღირსეულად დახვდეს.

**ვასილ წერეთელი.**

შემდეგ კრებამ ფეხზედ ადგომით პატივისცა ომში დახოცილ გმირთა სახელს.

კრებას მიესალმა სახელმწიფო უნივერსიტეტის მსმენელ ქალების წარმომადგენელი და აუწყა თავიანთი დადგენილება ქალთა საზოგადოებასთან მუშაობისთვის.

კრება შეუდგა სამუშაო გეგმის შემუშავებას, მაგრამ შემოვიდა წინადადება, შეუერთდეთ უკვე არსებულ „დამხმარე კომიტეტს“, რამაც საკმაოდ გაამწვავა საკითხი, შეთანხმება მოხდა შემდეგ რეზოლიუციით: მოხდეს კონცენტრაცია არსებულ ქალთა ს—ბის და სხვა და სხვა ჯგუფების, აირჩეს მთავარი კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს მთელს მოქმედებას.

აქვე არჩეულ იქმნენ წარმომადგენელნი, რომელთაც დაევალათ აცნობონ კრების დადგენილება დამხმარე კომიტეტს.

ამავე დღეს ს—ბის თავმჯდომარეს გადასცეს 1) ქ-ნმა ქიონია ბენდუქისამ 1000 მ. „ჩეკი“. 2) ქ-ნმა ელ. ანდრონიკაშვილისამ 30 მან. ვერცხლის ფული, 3) უცნობმა 1 მ. 80 კ. ვერცხლის ფული, 4) ქ-ნმა სოფიო ქუმსიშვილმა 7 მ., 5) ქ-ნმა ეკ. მაჭავარიანმა (გამგეობის წევრმა) 100 მან.

## თავდაცვის ფონდი.

რედაქციამ თავდაცვის ფონდის გადასაცემად მიიღო კ. მარტვილელის მიერ შეგროვილი 213 მანეთი და ფულის ექსპედიციის მოსამსახურეთა შორის ბ-ნ გოგი დგებუაძის მიერ შეგროვილი 352 მანეთი.

## სახალხო უნივერსიტეტის მოწოდება.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო!

მოიხადეთ თქვენი ვალი ჩვენი ერისა და დამოუკიდებლობის დამცველთა წინაშე.

მათი თავგანწირული ბრძოლის მეოხებით ჩვენს ქალაქებში მშვიდად მყოფნო. მიაწოდეთ სულიერი საზრდო ჩვენს გმირებს, ფრონტზე მებრძოლ რესპუბლიკურ ჯარსა და გვარდიას.

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით თბილისის ქუჩებში დადგმულ ყუთებში ჩაუშვით ახალი ან წაკითხული ჟურნალ-გაზეთები, რომელიც ყოველ დღე ეგზავნება ჩვენს დამცველთ ბრძოლის ველზე.

ეს ხომ ყველას შეუძლია.

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის თავმჯდ. **ს. ჟორჟოლიანი**

## მცირე შენიშვნა

24 ქრისტეშობისთვეს, დიდებულად დავასაფლავეთ პირველი მსხვერპლნი სომეხ-ქართველთა ომისა „ხუდადოვის ბაღში“ ასე იყო აღნიშნული ფრჩხილებში ადგილობრივ გაზეთებში ადგილი დახოცილთა საუკუნო განსვენებისა.

ბაღის ამნაირი სახელწოდება როგორღაც არ უხდება ამ ჟამად ყურებას. სომეხთაგან დახოცილნი საქართველოს საზღვარზე ქართველი მხედარნი იმარხებიან სომხის ბაღში საქართველოს გულში! შეეფერება განა ეს დღევანდელ გარემოებას?

მართალია ის პირი, ვისი სახელიც დღემდის ჰქონდა მითვისებული ამ ბაღს, ქართველ-სომეხთა საზოგადო და საპატიო მოღვაწე იყო, მაგრამ მისი შვილი კი ვერ დაიკვეხებს, მგონია, ამასვე ქართველების შესახებ და უხერხულად გამოდის, რომ ბაღი კი მისი სახელითაც (ხუდადოვის) იწოდებოდეს.

ამისთვის, ჩემის ფიქრით, უნდა ჩამოშორდეს ამ ბაღს ახლანდელი სახელი და ამიერიდგან იწოდებოდეს იგი „სამშობლოსათვის თავდადებულთა ბაღად“ ანუ უკეთესი სახელი, ხოლო მათ სახსოვრად კი. და ეს ადგილი ამიერიდგან უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის ისეთივე წმიდა, როგორც წმიდაა სიყვარული სამშობლოსადმი, რომლისათვისაც თავი დასდეს იქ დასაფლავებულთ. იგი ადგილი უნდა გარდაიქცეს პანთეონად იმ სამხედრო პირთათვის, რომელნიც თავს დასდებენ სამშობლოსათვის. და ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ, შეძლებისა და გვარად, ყველა მხედარი განურჩევლად წოდებისა ვინც კი შეეწირებოდა სომეხ-ქართველთა ომს, აქ დასაფლავებულიყო. და ასე აიგოს პირველი და უძვირფასესი ძეგლი საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლების გამტკიცებისა, რომელიც ბევრს რასმე მოუთხრობს და ასწავლის ჩვენს მომავალ თაობას.

მელანია.

## ცნობად

ქართველ საზოგადოებაში დიდ აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ თბილისში არხეინად დაბრძანდება და სასახლის ჭერ ქვეშაც დასეირნობს იმ სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი, რომელმაც შექმნა ღღევანდელი სისხლის ღვრა და რომლის ვერაგობისა და მუხანათობის პირველი მსხვერპლები, აი გუშინ იხილა და გულმწუხარედ დაასაფლავა საქართველოს დედა-ქალაქმა?! როდემდის უნდა გასტანოს ჯამალიანების, აგარონიანების და პაპაჯანოვების დარბაზობამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან.

რად არ არის მიღებული ზომები, რომ ჩვენი ქვეყნიდან გაეყვანათ იმ მთავრობის წარმომადგენლები, რომლიც გვეომება და ჩვენგან ყოველ წუთს ახალ-ახალ მსხვერპლს იწირავს?

რად არ ზოგავენ ქართველი ერის თავმოყვარეობას, რად არ ერიდებიან ქართველი საზოგადოების გაღიზიანებას?

## ქრონიკა

**ეროვნული დროშები.** კულტურის და შრომის კავშირმა დაამზადა რამდენიმე ათასი ეროვნული დროშის მასალა და დროშების შეკერვა შეუკვეთა სავაჭრო სახლს „შუამავალს“, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის მასალის და თვით დროშების შეძენა (დაკლებულ ფასებში) შეიძლება პირდაპირ კულტ. და შრომის კავშირისაგან, მსურველთ უნდა მიჰმართონ იუსტიციის სამინისტროში დ. წითლანაძეს ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე..

**ეკლესიის გაძარცვა.** 23 ქრისტეშობისთვეს დილის 2 საათზე ბოროტმოქმედებმა, ჯვართამაღლების ეკლესია გასტეხეს და 10-ათასი მან. სხვა და სხვა ნივთები წაიღეს. მესამე საკომისროს მილიციონერებმა ზოგიერთ ბოროტმოქმედი ამოაჩინეს. მოპარული ნივთები გაქანებულ ავტომობილში აღმოაჩინეს.

**რედაქციამ მიიღო** ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარის“ მე № 4. ჟურნალში ოფიციალურ განყოფილების გარდა მოთავსებულია სამხედრო მინისტრის გ. გიორგაძის მოწოდება და ივ. გომართლის წერილი.

საქართველოს მეაფთიაქეთა კავშირის რეზოლიუცია. მეაფთიაქეთა კავშირმა დაადგინა: 1) გახსნას ხელმოწერილობა ფულის შესაგროვებლად ომის საჭიროებისთვის თავის წევრთა შორის 2) გადადებული იქმნას ამავე მიზნისთვის თითო აბაზი ყოველ რეცეპტზე რაც შემოვა აფთიაქში და ყოველივე შეგროვილი წვლილი გადაეცეს მთავრობის განკარგულებაში.

**კვირას** 29 ქრისტ. დილის 11 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროში, (პეტრე დიდის ქუჩა № 8) დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში და სამინისტროებში მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოების წევრთა მეორე საზოგადო კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება რამდენიც არ უნდა დაესწროს. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) წესდების შეცვლა, 4) გამგეობის და სარევიზიო კომისიის ხელახალი არჩევნები, 4) მიმდინარე საკითხები. წევრებს ევალებათ თან იქონიონ საწევრო წიგნაკები, რომლებისაც მოხდება რეგისტრაცია.

**შეპყრობა.** თბილისის ქალაქის მილიციის უფროსს აცნობეს, რომ პეტრე დიდის ქუჩაზე 8 № სახლში იმალება საგუბერნიო ციხიდან გაქცეული ცნობილი ყაჩაღი დავითაია. მილიციონერებმა უფროსის ბრძანებით დააპატიმრეს დავითაია და სახლის პატრონი გეგეჭკორი, და ციხეში გაგზავნეს.

**ერობა.** საერობო საქმეთა მთავარ ინსპექტორმა ტ. მარგველაშვილმა ცნობა მიიღო რომ საერობო ხმოსანთა პირველი სხდომა ონის მაზრაში (რაჭა). 29 ქრისტეშობისთვეს შესდგება.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსთან ტეხნიკური კომისია არსდება.

## ქალაქთა კავშირი

სექტემბრის შუა რიცხვებში კავკასიის ქალაქთა კავშირის ყრილობა მოხდა, რომელიც დამთავრებისას საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა ყრილობად გამოცხადდა. ამნაირად ჩაეყარა საძირკველი საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირს. არჩეულ იქმნა მთავარი კომიტეტი და ბიურო ამის შემდეგ მუშაობა ახალ ფარგლებში უნდა დაწყებულიყო და შიგ მომუშავენიც უნდა გამსჭვალულიყვნენ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების განმტკიცება-გაძლიერების იდეით. ნორჩი დემოკრატიული თვითმმართველობების ხელის-შესაწყობად ახლად დაარსებულ კავშირს ბევრი რამ შესწევდა: მას ჰქონდა უკვე გამოწყობილი სამუშაო აპარატი და უამრავი სიმდიდრე, ქალაქებისთვის საჭირო ნივთები.

ოთხი თვე გავიდა კავშირის დაარსების შემდეგ და შეიძლება ითქვას, რომ კავშირს არაფერი გაუკეთებია; უამრავი სიმდიდრე კავშირისა უძრავადაა. კავშირი, ნაყოფიერ მუშაობისათვის 7—8 განყოფილებათ არის დაყოფილი. უცილობლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ განყოფილებაში მუშაობა არ არის; განყოფილების გამგენი მოვლენ ერთი საათით, გაზეთებს წაიკითხავენ და ისევ გზას ეშურებიან. არც ერთმა ბიუროს წევრმა, არ იცის სად რა ნივთების საწყობები აქვს კავშირს, როგორ მდგომარეობაში არიან ეს საწყობები და სხვა.

ერთადერთი განყოფილება, რომელიც ასე თუ ისე მუშაობს, არის სამეურნეო განყოფილება, რომელსაც დღეში ასი ათასობით შესავალ-გასავალი აქვს; ჩვენ ქალაქებს ამ განყოფილებიდან არაფერი სარგებლობა არ აქვთ. მთელი შემოსავალი ამ განყოფილებისა უნდება კავშირში მუქთად მყოფ მოსამსახურეთა და მომუშავეთა ჯამაგირებს.

თუ რომელიმე თვითმართველობა მოინდომებს კავშირიდან რაიმე ნივთების დაკვეთას, ამის სისრულეში მოსაყვანად მთელი თვეებია საჭირო; როცა დაკვეთილი ნივთი ალაგზე მივა. დაკვეთილი ნივთის მაგიერ შიგ სხვა რამე აღმოჩნდება: შაქრის მაგიერ—მარილი. ასეთი შემთხვევა ჰქონდა ხაშურის თვითმართველობას.

ყოველმა თვითმართველობამ იცის, რომ კავშირიდან საქონლის მიღებისათვის თვეებია საჭირო და ამიტომ ზოგიერთ თვითმართველობას ამისათვი განსაკუთრებული პირი ჰყავთ დაქირავებული ქალაქში. მაგალითად ზუგდიდს. სურამის თვითმართველობას კი ოთახი აქვს დაქირავებული, რადგან სასტუმროში თვეობით ყოფნა სურამის გამგეობის წევრებისთვის ძვირი ჯდება. ამნაირად კავშირის დამახასიათებელი თვისებებია: დაუდევრობა, საქმისადმი უყურადღებობა, ზერელეთ მოქცევა, უპატრონობა და სხვა.

კავშირს აქვს ისეთი განყოფილებანი, რომელნიც სრულიად არაფერს აკეთებენ და არც საჭირონი არიან. არიან ისეთი განყოფილებანი, რომლის სათავეში ჩვენი რესპუბლიკის აშკარა მოწინააღმდეგენი არიან და საქმის გაკეთების მაგიერ მხოლოდ ვნება მოაქვთ.

ყრილობაზე დადგენილი იყო თანდათან შემოეღოთ ნაციონალიზაცია; ყოველ განყოფილების სათავეში უნდა ყოფილიყო თითო ქართველი მაინც და ეს დადგენილება დარჩა აქამდე, ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტი კავშირში მომუშავენი რუს-სომხობაა და შეიძლება ითქვას, რომ ყველა ჩვენი რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი არიან. განსაკუთრებით ზოგიერთ განყოფილების სათავეში მდგომი პირნი, ცნობილნი არიან ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ თავიანთი აქტიური გამოსვლებით.

ახლა მაინც დროა განხორციელდეს: ვინც ჩვენსკენ არაა, ის ჩვენი მოწინააღმდეგეა და მას ადგილი ჩვენში არა აქვს... („სახ. ს.“).

სანდრო.

## სომეხთ ისტორიული უმადურობა

I.

წინა წერილში მე განვებ დავტოვე ცნობები თუმანიშვილების შესახებ. *) თუმანიშვილების საგვარეულოს ამილახვრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ საქართველოს მეფის კარზედ. მდივნობა, მოლარეობა, ლაშქარნივისობა, დესპანობა, მემკვიდრეობით ამათ გვარს ჰქონდა მინდობილი უკანასკნელ ორასის წლის განმავლობაში. მათი ბინადრობა ქართლში იყო, სოფ. ხელთუბანში. თუმანიშვილების მუხანათობას ჩვენ რამდენსამე წერილს ვუძღვნით.

მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს სპარსთა და რუსთა მუხთალმა პოლიტიკამ ქართლსა და კახეთს შორის შუღლი ჩამოაგდო. ჯერ იყო და 1648 წ. ყარაიაზედ ნადირობაში შიო თუმანიშვილმა მოჰკლა როსტომ, მეფის შვილობილი ლუარსაბ ბატონიშვილი. მეფენი ქართლისა გიორგი და კახეთისა, ნაზარალი-ხანი (ერეკლე I). მოსისხლეთ გადეიდნენ და ამისთანა უბედურებას ხელი შეუწყეს სომხებმა თუმანიშვილების მეთაურობით. გიორგი მეფე დაიღუპებოდა, თუ ნაზარალიხანი—იგინი არასა ჰკარგავდნენ.

ქართლის მეფის პირველი მდივანი იყო იგივე თუმანისშვილი. ამისი ძმა შიოში 1686 წ. გაიქცა, რაწამს შფოთი ჩამოვარდა ქართლსა და კახეთს შორის — ნაზარალიხანთან მივიდა და სიკვდილამდე თან ახლდა. 1689 1693 წ. წ. ქართლი ნაზარალიხანს ეჭირა. შემდეგ გიორგიმ ძალა მოიცა და დაიბრუნა. გივმა ნახა საქმის დაცრუება, ხედი-ხედ სწერდა შიოშს — დაანებე თავი ნაზარალახანს, მეფე გიორგისთან მოდი, ამის პურ-მარილი გზას არსაით მოგცემსო. აი ამ დროსვე ამილახვრისა და ერისთავების ოჯახებშიაც კი შფოთი ასტეხეს თუმანიშვილებმა მეფე გიორგი გაუორგულეს ამ დროს ქართლს მოურაობდა სარდალი გივი იოთამის ძე ამილახვარი და თუმანისშვილებს კრიჭაში ედგა. მაშინდელ ნაზარალიხანის მრავალ ოქმებს ადგენს და ხელს აწერს შიოში.

1735 წელს ღვინობისთვის დამდეგს შაჰნადირი თბილისში შემოვიდა ოსმალებზე გამარჯვებული. რა თქმა უნდა თუმანიანი ფიანდაზად დაეგნენ შაჰნადირს და მისი მოადგილე ქართლში სეფხანი დაიყოლიეს. ამ დროს შაჰნადირს გაუდგნენ თეიმურაზ მეფე, გივი ამილახორი, ქაიხოსრო ორბელიანი, ბარძიმ ერისთავი და სხ. და მთაში გახიზნულნი შეუდგნენ სამზადისს სპარსებთან საბრძოლველად. სეფე ხანმა იმ განდგომილთა ხელში ჩაგდება მოიწადინა; შეუყენა გორჯასპი მდივანი თუმანისშვილი თავის სახლისკაცებით. თუმანისშვილების მიერ დადებულ პაემანზედ სეფი ხანი შეიარაღებული რაზმით ავიდა გორში, აქედან იმავე დროს 1736 წ. გაზაფხულზედ ენა წყლიანმა თუმანისშვილებმა თეიმურაზ მეფე მხლებლებით მიატყუილეს ხელთუბანში და ნადიმათ მსხდარნი ყველანი დააჭერინეს სეფი ხანს და ხელხუნდიანნი თბილისში ჩამოიყვანეს ერთიანათ, აქედან სპარსეთისკენ უკრეს თავი შაჰნადირთან.

1783 წ. მკათათვეში ერეკლე მეფე ტრაქტატით რუსეთის მფარველობაში შევიდა ტავრიდელი პოტემკინის მოხერხებით. პოტემკინი ისეთი შესანიშნავი მოქნილი პოლიტიკოსი-დიპლომატი იყო, რომ როგორც უნდოდა გაჰქონდა და გამოჰქონდა. მან ნიშანში ამოიღო საქართველოს სამეფოს დამხობა: ერეკლეს გაძლიერებას ხელს უშლიდა, რითაც კი შეიძლებოდა—ჩამოაშორა ავსტრიელი ექიმი იაკობ რეინეგსი, ერეკლეს წერილებით რომში მიმავალი ფრანგის პატრები დაატუსაღა და არ გაუშო. აუტეხა ერეკლეს ავარიის ხანი ომარი და ახტალის მადნები დაანგრევინა; ტოტლებენის ღალატი გაამეორებინა ბურნაშოვს განჯასთან 1787 წ. ღვინობისთვეში. გადაჰკიდა ოსმალები, სპარსელები და სომხები. ყველა ეს ისეთი საიდუმლოებით დ მოხერხებით ჩაიდინა პოტემკინმა რომ გულუბრყვილო—ალალმართალმა ერეკლემ სრულებით არა იცოდა რა და სომეხი სულხან მდივანი თუმანიშვილი გაგზავნა პოტემკინთან ქ. იასსაში დესპანათ.

აი სწორეთ ამ დროს გამოაგორა საიდუმლოთ პოტემკინმა შემდეგი საპოლიტიკო კამათელი ერეკლეს საწინააღმდეგოთ და სულხანის პირით მთელ სომხობას ამცნო: „მე მინდა შევქმნა არარატის ირგვლივ დიდი სომხეთის საქრისტიანო სამეფოო. *) ამ პროექტმა თავბრუ დაახვია სომხობას. სულხანი იმას სწერდა, იმას ლაპარაკობდა, რასაც პატემკინი უბრძანებდა, გაჰქონდა წკრიალი რუსულ ოქროს იმპერიალებსა!

მთელი თათრის ხანები და დაღესტანი მტრათ აუსია ერეკლეს პოტემკინის დაუნდობელმა პოლიტიკამ. ყარაბაღის სომხის მელიქებმა ერეკლე და ყარაბაღის იბრეიმ ხანი წაჰკიდეს, თუ იბრეიმს უღალატეს, არც ერეკლეს ერთგულობდნენ. ამიტომ ერეკლე ცივათ ეკიდებოდა მელიქებსა და დრო—ჟამს უყურებდა. აგერ სპარსეთში გაძლიერდა აღამამად ხანი დ პოტემკინმა და სომხებმაც იმისაკენ ჰქნეს პირი, რაკი ერეკლე დაგეზულ მახეებში არ იქნა ველარ გააბეს. სომხის მელიქი ჯიმშედი და იაკობ ბებუთაშვილი მოუძღვნენ აღადმამად ხანსა და 1795 წ. 11—13 ენკენისთვეს თბილისი ააკლებინეს. თბილისის სომხებმა იმავ წლის გაზაფხულიდან თავისი თავდარიგი დაიჭირეს რუსეთში მყოფის მთავარ ეპისკოპოზის იოსებ არღუთაშვილის მეთაურობით

თბილისში მუშაობდნენ ერეკლეს საღალატოთ მანუჩარ თუმანისშვილი, თბილისის ნაცვლად დარჩია ბებუთაშვილი, აზხარბეგის შვილი, და სხ. ამათი განზრახვა იყო აღამამადხანის დახმარებით ერეკლე გადეგდოთ მეფობიდგან, დაეჭირათ თბილისი და თავისი სამეფო დაეარსებინათ, ან გიორგი ბატონიშვილი გაემეფებინათ. როგორც ვიცით ერეკლემ გაუძლო აღამადხანის შემოსევასა და გადარჩა, მაგრამ რუსეთის მუხთალმა პოლიტიკამ გზა-კვალი აურივა ერეკლეს. ამ შეთქმულობამ ტყუილად ჩაუარა სომხებს დაუგდოთ ყური სულხან მდივნის მიწერ-მოწერას თავის ძმა მანუჩარ მდივანთან.

**დეკანოზი პ. კარბელაშვილი.**

*) იხ. „საქართველო“ № 246. თუმანიშვილები ისეთს როლს თამაშობდნენ, რომ თუ არ ცალკე წერილებით —მათ ვერ შევეხებით.

*) თუ საქრისტიანო სამეფო უნდოდა, საქართველოს საქრისტიანო სამეფო მზად არ იყო?

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

### გერმანული პრესა

**სოც. რესპ. ცენტრალური საბჭო.**

გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა საბჭომ, გერმანიის სახელმწიფოსი და პრუსიის საქმეთა მართველობა ჩაიბარა.

**გროსბერლინის საბჭოების წარმოება.**

გროსბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი საბჭო განაგრძობს გროსბერლინის საქმეების წარმოებას.

**მაკენზენის ჯარი.**

დროებით ზავის საერთაშორისო კომისიის საერთო სხდომაზე ქ. სპაში გენერალ ადიუტანტმა განაცხადა, რომ გენ. მაკენზენის ჯარს იარაღი აჰყარეს და დააკავეს მარშალ ფოშის განკარგულებით. გერმანიის წარმომადგენელებმა განაცხადეს, რომ ფელდმარშალი მაკენზენი თავისი ნებით დაუმორჩილდა და გერმანიის მიერ 11 ლვინ. ამის გამო გაგზავნილ პროტესტს მხარს დაუჭერენ. გერმანიის წარმომადგენელნი გადაჭრით უარყოფენ საფრანგეთის წარმომადგენელთა მეთაურს იმ ბრალდებას, ვითომ გერმანული ჯარები ბოლშევიკებს ეხმარებოდენ ბალტიის მხრის აღებაში და ესტონელთ ხელს უშლიდენ.

**მარშალ ფოშის ნოტა სამხედრო ტყვეების შესახებ.**

მარშალ ფოშის ნოტა აღმოსავლეთ პრუსიაში სამხედრო ტყვეებისადმი სასტიკ მოპყრობის შესახებ დროებითი ზავის საერთაშორისო კომისიას გადაეცა. გერმანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ამ საგანზე მთავრობის პასუხი უნდა ქონდეს და მიუთითა იმ ფაქტზე, რომ თუ მოკლე ხანში გადაგზავნიან ტყვეების დიდ უმრავლესობას, მაშინ არა სასიამოვნო და არა სასურველ ინცინდენტს ექნება ადგილი. გერმანიის მთავრობას ბევრი საბუთი აქვს იმისი, თუ როგორ ეპყრობოდენ საფრანგეთში სამხედრო ტყვეებს და ამ საბუთებს ის სამშვიდობო კონფერენციას წარუდგენს განსახილველად

**საფრანგეთის მოთხოვნილება**

საფრანგეთმა მოითხოვა, რომ რეინის მარჯვენა მხარის ოლქებიდან ელზას-ლორენს მიაწოდონ ნედლი მასალა. საფრანგეთის მთავრობის წინადადებით ამის შესახებ 23 ქრისტეშ. ლიუქსენბურგში მოლაპარაკება გაიმართება მარშალ ფოშის მიერ დანიშნულ გენ. მერხიერისა და გერმანიის კომისიის შორის.

### გერმანული პრესა

**ს ო ლ ფ ი**

გერმანიის ახალშენების ჯარის მთავარსარდალმა სახალხო კომისარს ებერტს წარუდგინა პეტიცია, რომელშიაც სთხოვს რომ საგარეო საქმეთა მინისტრი სოლფი თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, დაინიშნოს გერმანიის სახელმწიფოს ახალშენების გამგეთ.

**ტყვეები ეროვნულ კრების არჩევნებში**

მას შემდეგ, რაც დაარსდა საგარეო პოლკის საქმეთა ჯარისკაცთა საბჭო, შესაძლებელია რომ ეროვნულ კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ სამხედრო ტყვეებმა. მთავრობამ გამოყო კომიტეტი ამ საკითხის გამოსარკვევათ.

**გერმანიის სამღვდელოება**

მიუნხენის ეპისკოპოსმა ❘დ-რ ფაულჰაბერმა განაცხადა, რომ ეპისკოპოსთა კრებას კატეგორიული პროტესტი უნდა განაცხაოს ბავარიის სახელმწიფოზე სამღვდელოების გავლენის გაუქმების გამო. მთავრობის ასეთი ძალადური ნაბიჯები ბავარიის ხალხს საფუძველს 9ძლევს პესიმისტურად უყუროს მომავალს.

**ჰოჰენცოლერები.**

პრუსიის მთავრობის [illegible] გაუქმებულია განკარგულებანი, რომლითაც ჰოჰენცოლერნთა გვარეულობის წევრნი განოვერის სამეფო სახლის წევრნი და სხვ. განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარ გადასახადისგან და მოვალეობისგან.

**პრუსიის დაყოფა ეროვნულ არჩევნებისთვის.**

პრუსიის ეროვნულ ყრილობის საარჩევნო კანონის ძალით მთელი პრუსია 23 საარჩევნო ოლქებათაა დაყოფილი რომელშიაც უნდა არჩეულ იქნეს 401 დეპუტატი პროფორციონალურ საარჩევნო ულუფებით.

**406 გერმანელის დახვრეტა.**

**პლესკაუში** (პსკოვში), ბოლშევიკების საწინააღმდეგო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებისათვის ბოლშევიკებმა 406 გერმანელი დახვრიტეს. დასჯამდე ყველა ისინი გაჰყვეს რამდენიმე ჯგუფად, მათვე გაათხრევინეს საფლავები და თვითეული ჯგუფი მარხავდა მის წინ დახვრეტილ ჯგუფს. მრავალი მცხოვრები დაატუსაღეს იმისთვის, რომ გერმანელების იქ ყოფნის დროს მათ ოფიციალური თანამდებობა ეჭირათ. დატყვევებულთა ბედი გამოურკვეველია.

**ს ო ფ ი ა შ ი.**

**ნაუენი.** 22 ქრისტ. სოფიაში შეტაკებებია. იუწყებიან ბოლშევიკურ გამოსვლებზე. მეფე ბორისი იმუქრება ტახტიდან გადადგომით.

**რუმინიის ჯარი.**

**ბუდაპეშტი.** 18 ქრისტ. რუმინიის ჯარმა გადალახა მდინარე მაროში, რომელიც დემარკაციულ ხაზად ითვლებოდა და შეებრძოლა ჰუნგრეთის ჯარს, ჰუნგრეთის მთავრობამ უბრძანა ჯარს უკან დახეულიყო. მთავრობა პროტესტს აცხადებს დროებითი ზავის დარღვევის გამო.

## ქვეშის ხიდის აფეთქების საქმე სასამართლოში

(გაგრძელება *)

სხდომა განახლდა 1 ს. 55 წუთზე.

**თავმჯდომარე.** მოწმე ცაგურია!

**მოწმე ცაგურია** (რკ. გზის უფროსი მუშა. წინ წამოდგება). დილით ხუთის ნახევარზე მომესმა ხმაურობა ერთხელ, მეორედ, მესამედ, მეოთხედ. გარედ არ გამოვსულვარ. სულ ოთხი აფეთქება იყო. ბნელოდა. „ბუტკაში“ ჩემთან იყო ფეიქრიშვილი და მეორე— მიცვალებული. შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს: ხიდიდან ყაზარმამდე 35 საჟენი იქნება. ყაზარმაში სამი ჯარისკაცი იყო, ორი თოფი ჰქონდათ. სოფლელები ნახევარ საათის შემდეგ მოვიდნენ, 12 კაცამდე. იმ ღამეს ხიდზე დარაჯად მოდრეკილაძე უნდა მდგარიყო. ის ოთხი დღე ავად იყო. აფეთქებამდე მატარებელს არაფერს გაუვლია. შეკითხვაზე, ხომ არ შეუმჩნევია წინად ვინმე კაცი ხიდის დამთვალიერებელი, მოწმე აცხადებს: არას დროს არაფერი არ შემიმჩნევია. თავმჯდომარის შეკითხვის პასუხად მოწმე ამბობს: სალდათები არა სდარაჯობდნენ ღამ-ღამე, ყაზარმაში იძინებდნენ, დღისით კი დარაჯობდნენ. ღამე რკინის გზის მსახური (სტოროჟი) სდარაჯობდა ხიდთან ბაირაღით მატარებლის გავლის დროს. აფეთქების შემდეგ გზის ოსტატმა განკარგულება მოახდინა მატარებლებს ნუ გაატარებთო.

**მოწმე საყვარელიძე** (რკ. გზ. ოსტატი). გიორგობისთვის 1-ს დილის ხუთის ნახევარზე ჩემთან მოირბინეს მსახურებმა, ხიდი ააფეთქესო... ადგილობრივ მისვლისას ხიდზე ეწყო ასაფეთქებელი მასალა, კაპსულები. იმ ღამეს დარაჯად დურგლიშვილი უნდა ყოფილიყო. აფეთქების ნახევარი საათის შემდეგ მოველ ადგილას. სოფლის კომისარი იქ იყო. დამნაშავეთა საძებრად მაშინვე არაფერი ზომები არ მიუღიათ. მთელი სოფელი იქ იყო. ჯარისკაცები შეშინებულნი იყვნენ, ყაზარმაში, სულ 60 პატრონა ჰქონდათ. მაშინვე დეპეშით ვაცნობე ჩემს მთავრობას. რკ. გზის მსახურები შეიპყრეს. ნიკოლოზ ჯიჯილაშვილმა გადმომცა, შიო მღვიმის ბაქანზე ღამე რამდენიმე კაცი ჩამოხდა მატარებლიდანაო.

თავმჯდომარის შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს: შიო მღვიმის ბაქანზე მატარებელს აჩერებდნენ ხოლმე მცირე ხნით მაზუთის დროს, მერე რაც შეშით ხურდება არ აჩერებენ, არც მსვლელობას უკლებენ, შეუჩერებლივ მოდის ხოლმე.

**თავმჯდომარე.** კიდევ რა იპოვნეთ ხიდზე?

**საყვარელიძე.** ხიდზე ვნახეთ თეთრი პურის ნაჭერი ფურნისა, აფეთქების წინ, ორი-სამი კვირით ადრე,

*) იხ. „საქართველო“ № 248.

დურგლიშვილს ენახა ვილაც კაცი, ხიდს ათვალიერებდაო. რომ ვნახო ვიცნობო, გადმომცა

შეკითხვაზე უპასუხებს: მიხაილოვის მხარეს ორი-სამი საათით ადრე გაიარა მატარებელმა. დამცველის შეკითხვაზე უპასუხებს: ქსანკიდან ძეგვის ხიდამდე 2 ნახ. ვერსია, ხიდიდან სოფ. ძეგვამდე 200 საჟენი. ძეგვიდან სოფ. დიღომამდე ას-ოცი. ხიდიდან მცხეთამდე (სადგურამდე) 6 8 ვერსია.

**თავმჯდომარე.** (საყვარელიძეს) ძეგვში არ იშოვება გასასყიდათ ცხვარი, ქათამი და სხვა.

**საყვარელიძე.** ძეგვში არაფერი მაგისთანა არ იშოვება.

**დამცველი პაპოვიანი.** (მოწმეს) მცხეთაში?

**მოწ. საყვარელიძე.** მცხეთაში და იმის მიდამოებში ხათრითაც ვერ იშოვნით გასაყიდათ ერთ გირვანქა პურს.

შეკითხვაზე უპასუხებს: აფეთქების წინ ერთმა სამხედრო მატარებელმა გაიარა სახალხო მატარებლის შემდეგ თბილისიდან, ეს იყო გერმანელების ეშელონები საქონლის ვაგონებით რიგს გარეშე. ეხლა მატარებელთა მიმოსვლის ცხრილი არც არის, მატარებლები გაწესრიგებულად ვერ დადიან. (მოწმე თავის ადგილას ჯდება).

**თავმჯდომარე.** მოწმე დურგლიშვილი.

**დურგლიშვილი.** (წინ წამოდგება) იმ ღამეს ტოროჟი რო ავად იყო, იმის ალაგავ ვიყავ. 12 საათზე პასაჟირმა ამაიარა, მერე ამაიარა შალონმა გერმანელებისამ. პირველ საათზე სულ მორჩა. შაველ ბუტკაში. ტოროჟი მოკვდარიყო. იქ დავრჩი. გათენებისას აფეთქების ხმა მოგვესმა, შეგვეშინდა ვენც არ დაგვხოცონო, ვერ წავედით. სოფლელები მოცვივდნენ. მერე ვაცნობეთ მასტერს (რკინის გზის ოსტატს).

**თავმჯდომარე.** ხომ არ გახსოვს, არავინ შეგიმჩნევია წინად რომ ხიდი ათვალიერებინოს?

**დურგლიშვილი.** როგორ არა სამი კვირის წინათ მუშაში ვიყავით თბილისისაკენ ხიდიდან 56 საჟენის აქეთ. ერთმა კაცმა გამოიარა, ხიდისაკენ წავიდა. მერე ისევ უკან გამობრუნდა. თავზე ბალანი აქედან (კეფაზე ხელს იდებს) ამ შუბლამდე (ხელს იდებს) არა ჰქონდა. მოკლე პალტო ეცა, მაღალყელიანი ჩექმები.

**თავმჯდომარე.** კაცმა გაიარა, და ისევ გამოიარა, მერე შენ საიდან იცი რომ მას თავზე ბალანი არა ჰქონდა?

**დურგლიშვილი.** გავლაზე ქუდი მახადა, ხელი გადაისო და დავინახე რომ მელოტი იყო.

**ბრალმდებელი ჩხატარაშვილი.** შეკითხვაზე უპასუხებს: ის კაცი მარტო იყო. ხიდი არ დაუთვალიერებია, ცოტას ვერ ავიღებ. ისე მაღლიდან ხიდისკენ ძირს გადაიხედა, ქვეით.

**მოხამ. ს. ჯიბლაძე.** აკი შენა სთქვი რომ ვმუშაობდი გვერდზე, გვერდზე გაგვიარა და გამოგვიარაო. მერე საიდან იცი ხიდი დაათვალიერა თუ არა?

**დურგლიშვილი.** კაცნი ვართ, თვალები გვაქვს. ვმუშაობდით მართალია, მაგრამ სულ ხომ არ მუშაობს კაცი, ან გაიხედ-გამოიხედავს და მეც დავინახე... მაჩვენეს ის კაცი, ვიცანი. (ათვალიერებს და შმაგაილოვზე უთითებს) აგერა ის კაცი, კარებთან რო ზის ის არი.

შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს: ხიდთან დიდხანს არ გაჩერებულა, თბილისის მხრიდან მოვიდა და ისევ პლატფორმისკენ წავიდა. აფეთქების შემდეგ სოფლიდან ხალხი მოგროვდა 10—12 კაცი, რასაკვირველია იარაღიანი ხალხი იყო. ხიდიდან ხიდის ქვეშ ორივე მხარეს კიბე ჩასდევს. (მოწმე თავის ადგილს უბრუნდება).

**შმაგაილოვი.** ხიდთან წინათ არასდროს ვყოფილვარ. მაღალ ყელიანი ჩექმები არა მქონდა იმ დროს. საერთოდ ჩემი გამოცნობა მანიად გადიქცა. ათას ვისმე აჩვენეს ჩემი თავი, ცრუ და მავნე ჩემი მცნობი გამოდგა. მე და კუჩარიანცი რომ ერთად მივდიოდით და ტყეში გლეხი რომ შეგვეხვდა იმას შეიძლება ვეცნე.

**თავმჯდომარე** (დურგლიშვილს უთარგმნის შმაგაილოვის ჩვენებას).

**დურგლიშვილი.** ხიდი რომ გატყდა, მოვიდნენ და მკითხეს და როგორც ვნახე ასე ვუთხარი. მაღალყელიან ჩექმებს ყელიან ჩექმებს ვეძახი.

**შმაგაილოვი** (თავმჯდომარის შეკითხვის პასუხად) ამ საქმის აღმასრულებლად შემთხვევით ვიყავ იქ მე წინად არ ვყოფილვარ. საქმე სხვას უნდა შეესრულებინა ჩემის ხელმძღვანელობით. ეს საქმე მე ექსპრომტად გავაკეთე, ხელთ მქონდა ხიდის გეგმა. იქ ამ საქმისთვის ცალკე კაცები გავგზავნე.

**თავმჯდომარე.** ვინ გაგზავნეთ, რუსები, ქართველები თუ სომხები?

**შმაგაილოვი.** არ ვიცი. ჩალხუშიანს მივმართე. მოშოვნა ორი კაცი. საღამო ხანზე მოეყვანათ, სახე არ გამირჩევია.

**თავმჯდომარე.** იქნება ლაპარაკის კილოთი მიხვდით რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ?

**შმაგაილოვი.** კილოზე უნდა მოგახსენოთ, რომ კავკასიაში ძნელია კილოთი ცნობა, აქ ბევრი ადგილობრივი მკვიდრი წმინდა რუსულ კილოთი ლაპარაკობს, ბევრი რუსი კი აქცენტით. ის ორი კაცი აფეთქების 6—7 დღით ადრე მოიყვინეს ერთი ამფეთქებელი (ოფიცერი) მეორე „სტარშოი“. „სტარშოის“ იქ ოთხი კაცი ჰყავდა. იმას თავისი ხალხი ცალკე უნდა გაეგზავნა, რომ შემთხვევის დროს მეც არ ჩავებმულიყავ. ეს ჩემის მოთხოვნილებით იყო ასე. ხიდის კიბეზე მე ჩაველი, მასალებს „სტარშოი“ მაწვდიდა.

ვექილის შეკითხვაზე შმაგაილოვი უპასუხებს: აფეთქების შედეგი ტეხნიკურად მარჯვედ მოხდა. ჩემი მიზანი იყო მიმოსვლის შეწყვეტა ორი-სამი კვირით. მიმოსვლა მართლაც შესწყდა. ხიდის ჩანგრევა მიზნად არ დამისახავს... ძნელი ასახსნელია, თუ ხიდზე დაწყობილი ნაღმი რატომ ყველა არ აფეთქდა... მთელი მასალა გამზადებული მქონდა მიტანილი, მე მხოლოდ ვაწყობდი თავ თავის ალაგას. დასაწყობ მასალას ოთხი კაცი მაწვდიდა. ხოლო ოთხ ადგილას უნდა აფეთქებულიყო და ოთხევე ადგილას აფეთქება მოხდა.

ბრალმდებლის შეკითხვაზე შმაგაილოვი უპასუხებს: ჩალხუშინი შემეკითხა რა ჯილდოს მისცემს ინგლისის მისსია ამ საქმეში მონაწილეთაო (ოთხს კაცს). არ ვიცი, როდესაც მისსია ჩამოვა, მაშინ გადასწყდება მეთქი.

„სტარშოი“ ადგილობრივი მცხოვრები იყო „ტუზემცი“ რა ეროვნებისა იყო არ ვიცი.

ბრალმდებლის შეკითხვაზე უპასუხებს: ხიდზე ნაპოვნი არშინი ალბად შემთხვევით თუ გავარდა ვისმე.. (დამცინავი ღიმილით, მე არშინი არა მჭირდებოდა. იმ სიბნელეში რის გაზომა შემეძლო. ყველაფერი მზამზარეული მქონდა.

შეკითხვაზე უპასუხებს: ნაღმის ფული მისცეს თუ არა არ ვიცი. სულ 2 ფუთი იყო, მე არაფერი მიმიღია.

**თავმჯდომარე.** მაშ ვინ გადმოგცათ ნაღმი?

**ჩალხუშიანი,** დავავალე 80 გირვანქამდე ნაღმია მეთქი საჭირო. იმან მიშოვნა... კუჩარიანცი ტყისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკზე შემხვდა, რიგიანად ეცვა. გზაში ერთად წავედით. მკითხა: „რო შეგვხვდეს ვინმე რას ეტყი, ვინა ხარ, სად მიდიხართ?

ბრალმდებელი **ჩხატარაიშვილი,** ხიდის ქვეშ რამდენ ხანს დარჩით?

**შმაგაილოვი** (დამცინავი ღიმილით). ხიდის ქვეშ? იქ რა მინდოდა. ხიდის ქვეშ წყალია. ხიდის ზედა ფიცრებ ქვეშ, ხიდის გულში კი 1—1 და ნახ. საათს დავრჩებოდი. მუშაობის დროს მატარებელმა გამოიარა.

ბრალმდებელი **ჩხატარაიშვილი.** რა მანძილზე იყავით მოშორებული, ხიდი რომ აფეთქდა?

**შმაგაილოვი.** მანძილი არ ვიცი, მაგრამ თხუთმეტი წუთის შემდეგ გაისმა აფეთქება.

ბრალმდ. **ჩხატარაიშვილი.** რათ გინდოდათ კოშტი სანთელი?

**შმაგაილოვი** (დამცინავი ღიმილით). ხიდზე საჭირო არ იყო ჩემთვის კოშტი სანთელი, არც ლუქი.

ბრალმდ. **ჩხატარაიშვილი.** ვინ გეხმარებოდა ხიდზე?

**შმაგაილოვი.** ხიდზე მეხმარებოდა „სტარშოი“. (ღიმილით) მეორე ამხანაგმა იმ ღამეში მიმატოვა. საღამოთი შეხვდი.

**ბრალმდებელი.** ბაუმანს ვინ მისცა ნაღმის ფული?

**შმაგაილოვი.** 51 ათასი მან. ნაღმისათვის ბაუმანს მე თვითონ მივეცი. შემდეგ ეს ნაღმი დაიჭირეს. რა დანიშნულება ჰქონდა ვერ ვიტყვი. ხიდის ასაფეთქებელი ნაღმი ამ ნაღმის ნაშთი არ ყოფილა.

შეკითხვაზე უპასუხებს: ჩალხუშიანის პოლიტიკური რწმენა არ ვიცი, ვიცი რომ მოკავშირეები ძალიან უყვარდა, გერმანელები კი ჩემზე ნაკლებ არა სძულდა.

**ბრალმდებელი.** არ შეიძლება გვითხრათ, რომელი შემოსავლით სცხოვრობდით?

**შმაგაილოვი.** წინად კარგი ჯამაგირი მქონდა, საკუთარი მამულებიც. მთელი ნაღდი ფული თან დამქონდა, შემნახველ კასაში და ბანკშიაც მებარა გამოვიტანე რამდენიმე ათასი თუმანი. ეხლაც მაქვს 20 ათასი საკუთარი ფული.

**ბრალმდებელი.** სადა გაქვთ?

**შმაგაილოვი.** მაგას ვერ გეტყვით.

### მესამე დღე.

გრძელდება ბრალდების მოწმეთა შეკითხვა.

### ვინ სდევდა კოჩარიანცს?

მოწმე ტყის ყარაული ნიკო ლასყურიშვილი აჩვენებს, რომ ბრალდებელ კოჩარიანცს სდევდა სოფელი და მილიციაც. საერთოდ 120 კაცამდე. ამასვე ამოწმებს მეორე ტყის ყარაული მზარეულიშვილი, რომელმაც ლასყურაშვილთან ერთად პირველად შენიშნეს ტყეში ბრალდებული. ბრალდებული და დამცველები განსაკუთრებულ ინტერეს იჩენენ, სდევდა მას მილიცია, თუ მხოლოთ ხალხი და ეკითხებიან მოწმეთ; აქვს თუ არა ადგილობრივ მილიციას ტანისამოსი რაიმე განსხვავებული ფორმა თუ არა. მოწმეები ამბობენ, რომ სოფელში, თითქმის ყველას „შინელები“ აცვიათ. მეორედ დაკითხული მოწმე ფარულიაც კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ბრალდებულმა იცოდა, რომ მას მილიცია სდევდა.

### რულეტკა, პატრუქი, ლუქი და გერმანელები.

განსაკუთრებულ ინტერეს იწვევს ზაქარია ჯაფარიძე-ხიხანაშვილის ჩვენება.

მოწმე სართიჭალის რაიონის კომისარია და თბილისში ყოფილა ძეგვის ხიდის აფეთქების დროს „ოტპუსკის“ აღებისათვის, მაგრამ ამ ამბის გამო აღარ გაუშვიათ და ისევ უკან გაუგზავნიათ, რომ მონაწილეობა მიეღო ამფეთქებლების მოძებნაში.

მოწმე დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს ბრალდებულთა დაჭერის პროცეს და ამბობს, რომ როდესაც დაჭერილნი სოფლის კომისარიატში მოიყვანეს, იქ იყვნენ სამხედრო მინისტრი, გუბერნიის კომისარი, მისი ამხანაგი, მაზრის კომისარი, 2 გერმანელი ოფიცერი ფორმაში და 4-იც სამოქალაქო ტანთსაცმელში, რომელნიც, როგორც ამბობენ მისიის წარმომადგენლები იყვნენო.

დამცველი ზელენსკი ითხოვს ოქმში იყოს შეტანილი მოწმის ჩვენებიდან ის ადგილი, სადაც იგი ამბობს, რომ ბრალდებულთა დაჭერას გერმანელები დაესწრნენ. სასამართლო აკმაყოფილებს ამ თხოვნას. შემდეგ მოწმე ამბობს, რომ გაჩხრეკის დროს ბრალდებულს კოჩარიანცს აღმოუჩინეს რულეტკა ლუქი და პატრუქი.

პატრუქის საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბრალმდებელის მხრით, რომელიც ეკითხება მოწმეს იცის თუ არა მან, როგორი პატრუქი იყო იგი?

**თავმჯდომარე:** იცოდით თუ არა თქვენ, რომ საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და საერთაშორისო ნეიტრალიტეტი?

**შმაგაილ.:** წამიკითხავს.

**თავმჯდომარე:** დასავლეთის ფრონტის შესახებ, სწორი ინფორმაცია გქონდათ?

**შმაგაილოვი:** სწორი ინფორმაცია მე კი არა, ვერც ინგლისელ მისიას ექნებოდა, რადგან აქაური რადიო სადგური გერმანელების ხელში იყო და ჩვენ ყველანი მხოლოდ პროფ. ცუგმაიერის ინფორმაციით ვიკვებებოდით, მაგრამ მე მაინც ვიცოდი, რომ საერთოდ იმარჯვებდა ინგლის-საფრანგეთის კოალიცია და მოკლე ხანში მათი გამარჯვება საბოლოოდ უნდა ყოფილიყო.

**თავმჯდომარე:** იცოდით თუ არა თქვენ, როგორი იყო საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა?

**შმაგაილოვი:** დიაღ, ვიცოდი, დაახლოვებით. ვიცოდი, რომ საქართველო ღარიბი იყო დამუშავებულ საქონლით, მაგრამ მეტად მდიდარი მადნეულობით, მატყლით და სხვა ამგვარი საქონელით

**თავმჯდომარე:** რომელი ქვეყანა უფრო მდიდარია საქონლით: უკრაინა, ფინლიანდია, თუ საქართველო?

**შმაგაილოვი.** რა თქმა უნდა უკრაინა.

**თავმჯდომარე.** მაშ თუ თქვენი მიზანი იყო ხელი შეგეშალათ გერმანელებისათვის საქონლის გაზიდვაში, რატომ უკრაინა ან სხვა რომელიმე სახელმწიფო არ ამოირჩიეთ დ სამოქმედო ასპარეზათ საქართველოზედ გაჩერდით?

**შმაგაილოვი.** არჩევანი რომ ჩემზედ ყოფილიყო, რასაკვირველია, სხვა გვარათ მოვიქცეოდი და ჩემი თხოვნა იყო დასავლეთ ფრონტზედ გავეგზავნეთ, მაგრამ ეს ადგილი მომიჩინეს სასამოქმედოთ.

**თავმჯდომარე.** თქვენ განაცხადეთ მოკავშირეთა დახმარებაში, თქვენ დაინტერესებული იყავით მხოლოდ „იდეურათ“!

**შმაგაილოვი.** დიაღ, ჩემი მიზანი სრულებით არ გახლდათ მოკავშირეთათვის მხოლოდ ეკონომიური დახმარება აღმომეჩინა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მე მითხრეს: აი, თქვენ ალგვითქვით სამსახური და ამ ჟამად ეს „საქმე“ უნდა აასრულოთო და მეც, იძულებული ვიყავი ამესრულებია იგი.

**თავმჯდომარე.** შედიოდა თუ არა თქვენს მიზნებში, გაგეფუჭებიათ ის სანოვაგე, რომელიც საინტენდანტო საწყობებში იდვა.

**შმაგაილოვი.** დიაღ! თუ ისინი გერმანელების ხელში იქნებოდნენ.

**თავმჯდომარე.** როდის გაიცანით ჩალხუშიანი?

**შმაგაილოვი.** 1917 წლის მაისში, სასტუმრო „ორიანტის“ რესტორანში. გამაცნო ჩვენმა მეგობარმა პოლკოვნიკმა ბაიროგლომ.

**თავმჯდომარე.** თქვენ გახსოვთ ხომ, რომ ოქტომბერში სანაინთან უთანხმოება ჩამოვარდა ქართველებსა და სომხებს შორის.

**შმაგაილოვი.** ვიცი.

**თავმჯდომარე:** როგორ შეხვდით თქვენ ამ ცნობას?

**შმაგაილოვი:** ძალიან ზერელეთ. ამ დროს მე ვიტანჯებოდი მხოლოდ რუსეთისათვის და როგორ უნდა ავეღელვებიე რაღაც მიწის ნაფლეთის საკითხს? ამის გარდა, გაზეთში წავიკითხე ამ ცნობის სათაური და უბრალო სანაპირო უთანხმოებათ წარმომედგინა, რომელსაც ყველგან აქვს ადგილი. და აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ ხიდის აფეთქება, რომელსაც მხოლოდ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, დაკავშირებული იქნებოდა ამ ინციდენტთან.

**თავმჯდომარე:** მე ისევ გეკითხებით, თქვენ, რომ იცოდით, თუ არა ეს უთანხმოება და იცოდი თუ არა, რომ ხიდის დანგრევა საქართველოს ორ ნაწილად ყოფდა.

**შმაგაილოვი:** მე კიდევ მოგახსენებთ, რომ ესეთი უთანხმოებანი ხშირად ხდებიან და არც კი წარმომედგინა, რომ როდესაც მსოფლიო ომი თავდება, აქ გაჩაღდება ახალი სისხლის ღვრა და ამიტომ ამ სომხეთ-საქართველოს კონფლიკტს უბრალო სანაპირო უთანხმოებათ ვსთვლიდი და ამის გარდა, ხიდი დაშლილი იქნება მხოლოდ ორი კვირით; ხოლო ეს გზა ფაქტიურათ გერმანელების ხელში იყო; ამ გზით გადაყავდათ თავისი ჯარები ოსმალებსაც და ეს იყო უმთავრესი სტიმული ჩემი მოქმედებისა.

(გაგრძელება იქნება)

## თეატრი და მუსიკა

კავშირის დასი. მსახიობთა კავშირის საბჭომ დაადგინა, რომ ერთი წარმოდგენის სრული წმინდა შემოსავალი უძლვნას მეომართ საჭიროებას და შეგროვილი თანხა გადასცეს სამხედრო სამინისტროს. დადგენილ იქმნა, რომ ამ დღისათვის ადგილების ფასი მომატებულ იქმნას და წარმოდგენილ იყოს ძველი, პატრიოტიული პიესა ა. ცაგარლისა „ქართველი დედა“. წარმოდგენის დღეთ დანიშნულია პარასკევი, 27 ქრისტ. სახელმწიფო თეატრში. ბილეთები უკვე იყიდება.

— კავშირისავე დასი ამ ჟამად ამზადებს ლეო ქიაჩელის რომანს „ტარიელ გოლუა“-ს სასცენო ილუსტრაციას. მზადდება ახალი დეკარაციები, მთელი ილიუსტრაცია დადგმულ იქნება დეკორაციის მხრივ ესკიზურათ, ჰორიზონტათ და მაუდებით. წარმოდგენას თან ახლდება რომანის წამკითხველი.

— მზადდება აგრეთვე ანტიური პიესა „ანტიგონე“ ახალგაზრდა რეჟისორის ვ. ყუშიტაშვილის რეჟისორობით. პიესას თან ახლდება მუსიკა და პლასტიური მიმოხვრანი.

## შემოწირულება

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო შემოწირულება საქართველოს მხედრობისათვის შემდეგ პირებისაგან: მ. მორჩილაძისაგან შეგროვილი ყოფილ სახაზინო პალატისა და ხაზინის მოსამსახურეთა შორის განსვენებულის ი. ტერ-სტეპანიანცის ხსოვნის აღსანიშნავად 210 მ., რ. პ. განიძისაგან 75 პაჩ. პაპიროსი და 12 კარ. წუმწუმა, ნ. დოლონიძისაგან 50 მან., ს. გასპარიანცისაგან 20 მ., მარიამ ვ. მაჩაბელისაგან 250 მ., ა. მ. დოლაბერიძისაგან 1000 მ., ს. ი. იასეშვილისაგან 500 მ., ს. ს. კოტორაშვილისაგან 1000 მ., რ. ი. გოგინაშვილისაგან 25 მ., აზ. ბოჭორაძისაგან 25 მან.

მთავარი გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

## „საქართველოს“ რეზერვის ფონდი

ნიკოლოზ ჯაყელმა გაზ. „საქართველოს“ ფონდს 2.500 მანეთი შემოსწირა.


## სამხედრო სამინისტროს სააღმინისტრაციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკაზმულობის სამზადისი ნაკლებად მოიპოვება, სამხედრო მინისტრმი გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეთ სასყიდელი იმ ტანისამოსში, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვარგა სახმარებლად და შეეფერება არსებულ ფორმას.

დაწესებულია შემდეგი ფასები:

| | | | |
|---|---|---|---|
| თითო მაზარაში | 75 | მან. — | შაური. |
| ხალათში | 53 | „ — | „ |
| შარვალში | 40 | „ — | „ |
| პერანგში | 15 | „ — | „ |
| პერანგის ამხანაგში | 15 | „ — | „ |
| ერთ წყვილ წინდაში | 4 | „ 10 | „ |
| ერთ წყვილ წაღაში | 120 | „ — | „ |
| ერთ წყვილ ბათინკაში | 105 | „ — | „ |

(3—83—1)

## გ. მ. კოზაკის ფოტოგრაფიაში

გაიხსნა **სტუდია** მხატვრულ სურათების შესასრულებლად

სურათები შესრულებული იქნება, ზეთის (აკვარელის) და სხვა და სხვა საღებავებით. მხატვრულ შესრულების მხრით ფოტოგრაფია სრულ პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღია 9 ს. 5 ს. (ერევნის მოედანი—სოლოლაკი).

(10—85—1)

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით

## ქართული ლეგიონი

მოიწვევს მოხალისეებს

## მამულიშვილნო,

## დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართულ თეატრის ეზოში, სადაც ყოველგვარ პირობებს შეიტყობენ.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი **ლეო კერესელიძე.**

ექიმი

## პ. ტარ. ლორთქიფანიძე

**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

ექიმი

## ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს“ პირდაპირ.

## კერძო სამკურნალო

**ექ. ა. დ. ალექსიძის**

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილ.ის. 606—914 (ს-ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იმხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

## ალექსანდრე დავითის ძის

## ბეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ექიმი

## ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—54

გაიხსნა

## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

## გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანტონის ძე

## ქალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი დოქტორი მედიცინისა

## გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჰაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. **საწყლებს უფასოთ.**


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.